# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 20 აპრილი, 2013 წელი.

№74 (7201)


> იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბერთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# გაფართხალება ჩასაძირად განწირულ გემზე...

5



**თავმოჭრილო, თავშერცხვენილო, თავლაფდასხმული ნაციონალებო, სულ ტყუილად იჭაჭებით ამ თქვენი გაბინძურებული თავის გადასარჩენად, თქვენ უკვე საბოლოო სამართლიანი განაჩენი გამოგიტანათ ქართველმა ხალხმა. თქვენი დაფახფახებული პოლიტიკური გემი, თქვენივე ცოდვებითა და ხალხის ცხრაწლიანი რისხვით დამძიმებული, ფსკერისკენ დაიძრა და ვეღარაფერი შეაჩერებს.**

ცრუ პრეზიდენტყოფილო სააკაშვილო, შენმა გუშინდელმა პროვოკაციულ-დემაგოგიურმა ხლიჩინბლავილმა მთელ გაოცებულ მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაანახვა, რომ შენსას არ იშლი და ხალხი, ანუ ჩვენ ყველანი, ვინც 1 ოქტომბერს წირვა გამოგიყვანეთ, ისევ ბრიყვებად მიგაჩნია, რადგან ყურები ჩვეული სისულელეებით გამოგვიჭედე და საბოლოოდ დაგვარწმუნე, რომ არ გესმის, როდის რა უნდა ილაპარაკო, ჩვენგან კი ამჯერად, არავითარი შესაბამისი რეაქცია არ გიგრძნია...



ვერც წარმოიდგენ, რა საცოდავი, რა უმწეო, რა ჭკუიდან გადასული იყავი ხალხის თვალში, შენს თავმოჭრილ ეგრეთ წოდებულ თანამოსაგრეებთან ერთად, შენს ბლუ ვანო მერაბიშვილთან, შენს თავხედ გიორგი უგულავასთან, შენს მუზმუზელა დავით ბაქრაძესთან, შენს ახალი ჩამოსხმის ნაციონალ-ფარისეველ გიორგი ვაშაძესთან ერთად, როცა ყველანი ერთობლივად ამაოდ იჭინთებოდით და მილიონიანი თბილისის მხოლოდ რამდენიმე ათას საბედისწეროდ შეცდომილ თანამოქალაქეს ტყუილების კორიანტელს აფრქვევდით.

შენ ისიც ცხადყავი, ძალაუფლებას ხავსივით ჩაბღაუჭებულო ნაპრეზიდენტალო, რომ ქვეყნის პრეზიდენტი კი არა, ყოველთვის ხალხის მძარცველი პარტია-ბანდის მეთაური იყავი. გუშინდელ აქციაზე ნათელი გახდა აგრეთვე, რომ ეგრეთ წოდებული კოჰაბიტაცია, ანუ თანაარსებობა შენთვის სასურველი ტერმინია, რომლითაც შენი ცხრაწლიანი პოლიტიკური მეკობრეობის გადაფარვას ცდილობ.

განა მოსათმენია, რომ ქვეყნის ვითომ პრეზიდენტმა, რომელმაც ცხრა წლის მანძილზე კუდის რიკამდე გაატყავე ქვეყანა, თვითონ კი ფარული მილიარდერი გახდა, გაღატაკებული ხალხის ხარჯზე, საკუთარი შვილის სწავლის საფასური სახელმწიფოს ბიუჯეტიდან დაფარე?!

ერთი სიტყვით, პირდაპირ და ხმამაღლა უნდა ითქვას და ეს საქართველოსთან ერთად მთელი მსოფლიოს საზოგადოებამ უნდა გაიგოს, ამ ანტისახელმწიფოებრივი, ანტიხალხური პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერებთან ერთად, რომ გუშინ საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, რუსთაველზე თქვენი დაფახფახებული პოლიტიკური გემის საბოლოოდ და სამუდამოდ ჩაძირვის წინ ნაციონალი ნაცისტების დიდი სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართა.

რაც შეეხება დაკრძალვას, ქართველი ხალხი დასაფლავების დღეს ცალკე გამოაცხადებს.

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გუშინ რუსთაველზე

# ტყუილი ბორში, ტყუილი ტორტი, ტყუილი აქცია

**მაპატიე, ძვირფასო მკითხველო, რომ დღეს „წერტილოვანი ფრაზები“ ვერ შემოგთავაზე. მართალი გითხრა, ძალიან ვეცადე, რომ სოციალურ ქსელ „ფეისბუქიდან“ რაიმე ისეთი სტატუსები ამომეღო, რომლებიც დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებასთან მიმართებაში საზოგადოების აზრის მაჩვენებელი იქნებოდა, მაგრამ ვერ ვიპოვე.**

**ვერ ვიპოვე, რადგანაც ქსელის აქტიური მომხმარებლები 19 აპრილის აქციის განხილვით იყვნენ დაკავებულნი და ამიტომ მათ მიერ შემოთავაზებული „წერტილოვანი ფრაზები“ 20 აპრილს, როცა გაზეთი გამოვა, უკვე მოძველებული იქნებოდა.**

**ამიტომ გადავწყვიტე, აქციაზე წავსულიყავი და, ასე ვთქვათ, „პირველი ხელიდან“ გამეკეთებინა ეს რეპორტაჟი. მოდით, სანამ ჩემს შთაბეჭდილებებს გაგაცნობთ, „თხლად“ შევეხები „წინასააქციო პერიოდს“.**

რაღა დაგიმალოთ, და ეს „წინასააქციო პერიოდი“ საკმაოდ „დატვირთული“ აღმოჩნდა.

დატვირთული აღმოჩნდა არა, იმ პრობლემებით, რომლებიც აწუხებს და რომელთა გასაპროტესტებლადაც უნდა შეიკრიბოს მოსახლეობა, არამედ დატვირთული აღმოჩნდა „კრუგომ ბეგომ“ ტყუილებით.

პირველი და უმთავრესი ტყუილი იყო აქციის „იდეა“. „იდეა“, რომლის გაპროტესტებასაც აპირებდა ე. წ. „ნაციონალური მოძრაობა“.

რა ევროპული კურსი, რის ევროპული ორიენტაცია?

„ბოდიში მამითხოვია“ და ამათ თავი მაია ასათიანის შოუში ხომ არ ჰგონიათ, რომ იქ ცრემლები „ვაღვარღვაროთ“ და „ვაი რა დავკარგეთ“ სიმღერით შემოვიკრიბოთ მათგანვე გაყიდული (როგორც პირდაპირ, ისე გადატანითი მნიშვნელობით) პარლამენტის წინ?

კარგით, ამ რიტორიკას თავს დავანებებ და აქციის რეპორტაჟს შემოგთავაზებთ.

**მართალი გითხრათ და, რაც პირველად მომხვდა თვალში, ხალხის სიმცირე იყო.**

სირცხვილი და თავის მოჭრა!

**„ერთი მუჭა“ ხალხით ვუჭერთ მხარს ევროპულ კურსს?**

აუჰ, აწი ვინღა მიგვიღებს ან „ნატოში“ ან „ევროკავშირში“? ეგ კი არა და, შეიძლება იმ ევროსაბჭოდანაც გამოგვაგდონ, რომელშიც გაწევრების შემდეგაც იმთავად განაცხადა ამათმა მოკლულმა ზურაბ ჟვანიამ — „მე ვარ ქართველი, ე. ი. ვარ ევროპელი“! სულ ტყუილად იდგნენ პოლიციელები მეტრო „რუსთაველიდან“ სასტუმრო „მერიოტამდე“. ნაცები თავიანთმა დანიშნულმა იმ ჩინოვნიკებმაც „გადააგდეს“, რომლებიც დღესაც თავიანთ ადგილებზე არიან და რომელთა იმედიც მათ ჰქონდათ. **ბატონო ბიძინა, გაითვალისწინეთ, ერთხელ მოღალატე, მეორეჯერაც უღალატებს!**

მას შემდეგ, რაც აქციის სპიკერმა გიორგი ვაშაძემ 19 აპრილი ახალი ეროვნული მოძრაობის დაწყების დღედ გამოაცხადა, „ადვოკატ“ გიორგი ონიანს და პარლამენტის წევრ პავლე კუბლაშვილს კომენტარი ვთხოვე.

მაპატიეთ, რომ მათ შეფასებებს ცალ-ცალკე ვერ გთავაზობთ, რადგანაც ისინი, ზუსტად ისე, როგორც 16 აპრილამდე დაკავებული ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ:

**— ეროვნული მოძრაობა გაიგივებულია ევროპასთან, ჩვენ ვირჩევთ თავისუფალ სამყაროს, რადგანაც ახალი ხელისუფლების კურსთან უამრავი კითხვა და რისკი გაჩნდა. დღევანდელი აქცია სწორედ ამ რისკების წინააღმდეგ არის მიმართული.**

ზუსტად იგივე შეფასებები გააკეთეს საზოგადოებრივ კავშირ „დროას“ ახალგაზრდებმა, რომლებიც სასტუმრო „რედისონიდან“ მსვლელობით დაიძრნენ რუსთაველის გამზირზე და აქციას შეუერთდნენ.

**„ჩვენ წინააღმდეგნი ვართ კრემლში გამართული კონცერტების“! „ჩვენ წინააღმდეგნი ვართ რუსეთთან მონური დამოკიდებულების!“** — განაცხადეს „დროას“ წევრებმა და აქციის ორგანიზატორებისგან მიცემული სიგნალის შემდეგ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების მიერ ლამის გაყიდული პარლამენტის შენობისკენ დაიძრნენ.

არ აღვწერ აქციის მიმდინარეობას. არაფერს არ ვიტყვი იქ მოსული ხალხზე, რადგანაც ეს ტყუილი აქცია ყველა საინფორმაციო საშუალებით პირდაპირ ეთერში შუქდებოდა, ხოლო აქციის მონაწილეთა რაოდენობაზე დასმულ კითხვაზე, ის ხალხი, რომელიც თვლის, რომ ზაზა ბურჭულაძე მწერალია, მაია ასათიანი და ნანუკა ჟორჟოლიანი ტელეწამყვანები არიან, სტიოპა და კახუჩელა — მომღერლები, თეა თუთბერიძე — უფლებადამცველი, ლაპიაშვილის მოსაზრებები გასათვალისწინებელია, საჯაია-ბოკუჩავა პოლიტიკოსები არიან და რომლებიც სააკაშვილის დუჟმორეულ გამოსვლას ტაშით ეგებებიან, ნამდვილად უნდა მივიდნენ ქვეყნის ხერხემლის, ვანო მერაბიშვილის გამართულ აქციაზე.

ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის წარმომადგენელმა მორცხვი ღიმილით მიპასუხა — **ეტყობა, რომ ციფრს შემდეგ „დაადგენენ“.**

მოკლედ რომ ვთქვა, ნაციონალური მოძრაობისგან მიღებულ ტყუილ დაპირებებს, ტყუილი აღორძინებისა და უამრავი სხვა ტყუილის შემდეგ ტყუილი აქციაც მივიღეთ.

**გია გაბრიჭიძე**

ჩვენი დროის მაესტროები









ეპოტინება მშიშარა რაინდს!

# ტრიბუნაზე ერთი კაცი იდგა...

## რომლისთვისაც უკეთესი იქნება, თუ უფრო იშვიათად ილაპარაკებს ქართველ გმირებზე

**ტრიბუნაზე ერთი კაცი იდგა. და არეულად ლაპარაკობდა გმირზე... თვალებს აქეთ-იქეთ აცეცებდა...**

ლაპარაკობდა გმირზე, რომელიც საქართველოში ყველასთვის ძვირფასია... გმირზე, რომელიც მართლაც ჩვენი ეპოქის თუ წარსულის საუკეთესო წარმომადგენლების მსგავსად თავისი სიკვდილით ამაღლდა და მარადისობაში გადაინაცვლა... გმირზე, რომელმაც არ დაიჩოქა და თავი მიწას არ დაადო... წამებულ გმირზე, რომელიც მტერმა ვერაფრით დააშინა და ვერ გატეხა... გმირზე, ექტი ყველანაირად ეპოტინება ყველაფერს, რაც კი წმინდაა. ცდილობს, წმინდა სიმბოლოებზე შეიწმინდოს თავისი ბინძური ხელები და ქართველი ხალხისთვის თავდადებული გიორგი ანწუხელიძისთვის გმირის მედლის გადაცემით სურს, დაგვავიწყოს, თავად ვინ და რა არის... ფიქრობს, გმირის მეუღლისა და შვილებისთვის გადაცემული ჯილდოს ფასად გმირის სახელთან შეზიარებას შეძლებს თავადაც..

და სწორედ ამიტომაც დასჭირდა გმირის შვილების ხელში ატა-



••• შვილი გმირის შვილთან ერთად

რომელიც მსოფლიომ მებრძოლი, დაუმორჩილებელი, გმირული საქართველოს სიმბოლოდ აღიქვა...

**მაგრამ, ვაი რომ, ამას ლაპარაკობდა სუბიექტი, რომელიც ასევე ცნობილ სიმბოლოდ იქცა — უსირცხვილობის, უნამუსობის, ლაჩრობის, ძალადობის, უსამართლობის, მომხვეჭელობის, ეგოიზმის, და ფლიდობის სიმბოლოდ!..**

და როცა ლაპარაკობდა იმაზე, როგორ ვერაფრით დააჩოქა მტერმა გიორგი ანწუხელიძე, როგორ ვერაფრით დაადებინა ვაჟკაცს მიწაზე თავი, მახსენდებოდა საკუთარი დაცვის წინ მარდად მორბენალი კურდღელი, თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე ლაჩრულად გაქცეული მთავარსარდალი (მაშინ, როცა არავინ — ქალები, მოხუცები, უცხოელები — არ გაქცეულან!), მაგონდებოდა მიწაზე გართხმულიც და დაჩოქებულიც, და მხოლოდ ერთ რამეზე შეშფოთებული — „ჟურნალისტები მოაშორეთო!“, რომ ბღაოდა — **რადგან ხვდებოდა, ისტორიისთვის მის მიერ რუდუნებით შექმნილი სწორუპოვარი ლიდერის და მამაცი მხედართმთავრის იმიჯს თვითონ რომ წააყარა სამუდამოდ მიწა...**

ჰოდა, ახლა, კარიერის უსახელო დასასრულის ჟამს, ეს სუბიექტება და მათი გულში ჩაკვრა! ძალიან სჭირდება, რომ თავისი გახვრეტილ შაურად ქცეული იმიჯი რაიმე წმინდას ამოაფაროს — დაღუპული გმირის სურათს, დაღუპული გმირის დედის და მეუღლის ცრემლებს, დაღუპული გმირის შვილების უმანკო სახეებს!

**იმის იმედი აქვს, რომ ამ ბრძანებულების გამოცემით და კიდევ ერთი „პერფორმანსით“ გადაფარავს თავის მრავალ უგვანო საქციელს თუ კრიმინალურ ქმედებას — 2008 წლის აგვისტოში, 2007 წლის 7 ნოემბერს, 2011 წლის 26 მაისს, ლაფანყურის დადგმულ ოპერაციას, წართმეულ ქონებებს, ხალხისთვის მოპარულ და მითვისებულ მილიარდებს, ციხეში ჩაყრილი ათასობით ადამიანის გამწარებულ ცხოვრებას, მოპარულ არჩევნებს, სიცრუით გაჟღენთილ ამაოებას...**

ცდილობს ამას ისეთივე დიდი გულმოდგინებით, როგორც ცდილობდნენ სხვა სისხლიანი კრიმინალები, ისევე გულმოდგინედ და ძალადგაღიმებულები რომ იტატებდნენ და გულში იკრავდნენ ბავშვებს, ისევე რომ არიგებდნენ ჯილდოებს იმ განწირული გმირებისთვის, ვინც თავად მიატოვეს და უღალატეს...

არა მგონია, რომ მოვტყუვდეთ ისევ... მართალია, მან საკმაო ხანს ატყუა მთელი ხალხი... და არის პიროვნებათა ჯგუფი, რომელსაც თავად სურს, კვლავაც მისი ტყუილების ხიბლში გაატაროს მთელი სიცოცხლე... მაგრამ როგორც ვერც სხვებმა შეძლეს, ისიც ვერ შეძლებს მთელი სიცოცხლე ატყუოს მთელი ერი, და მთელი მსოფლიო...

**გიორგი ანწუხელიძის სახელს და დიდებას იგი ვერასოდეს შესწვდება. და წესით იმას უნდა ხვდებოდეს, რომ რაც უფრო იშვითად დაიწყებს ქართველ გმირებზე საუბარს, მით უკეთესი იქნება მისთვის, რადგან ამ გმირებთან მიმართებაში იგი მხოლოდ საოცრად უსახური ანტიპოდია — იმის გამოც, როგორ „უყვარს“ საქართველო, და იმის გამოც, როგორ იცხოვრა...**

**სოლომონ თერნალი**

ალიან-ჩალიანი

## ლანჩხუთში მიხეილ სააკაშვილის ფოტოები და ცოცხები დაწვეს

— „საქართველო კრიმინალური მოძრაობის გარეშე“, „უარი თვითმარქვია ნაციონალების პრეზიდენტს!“ — ამ სლოგანების თანხლებით მიმდინარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ცენტრში თეატრალიზებული აქცია.

როგორც აქციის ორგანიზატორმა გია ფირცხალაიშვილმა განაცხადა, ამ ფორმით გააპროტესტეს თბილისში დაგეგმილი აქცია. — დღეს გარდაიცვალა „ნაციონალური მოძრაობა“ და ჩვენ სამძიმარი გამოვუცხადეთ ყოფილ ხელისუფლებას, დამთავრდა „ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოში, — განაცხადა ფირცხალაიშვილმა. ქალაქის ცენტრიდან აქციის მონაწილეებმა „ნაციონალური მოძრაობის“ ლანჩხუთის რაიონული ორგანიზაციის ოფისთან გადაინაცვლეს, სადაც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ფოტოები და ცოცხები დაწვეს. იქვე ოფისთან დატოვეს გვირგვინი, წარწერით „ვუსამძიმრებთ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სპეციალისტის ხედვა



**ჩვენ ვერაფრით გავაკვირვებთ მსოფლიოს, გარდა კულტურისა, — ალბათ, ხშირად გსმენიათ ეს ფრაზა, რომელსაც უპირობოდ ეთანხმება სწავლული თუ უსწავლელი. როცა საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას პატრონი გამოუჩნდა იუნესკოს სახით, ერის სიამაყის საფუძველი კიდევ უფრო მყარი და ურყევი გახდა. თუმცა, სამწუხაროდ, უძველესი ძეგლები ვაიქართველების უპასუხისმგებლობისა და ცუდად გადაფასებული შეხედულებებისა და გაუაზრებელი პოლიტიკის გამო, თანდათან ეთიშებიან იუნესკოს საგანძურთა ნუსხას. ასეთია ბაგრატის ტაძარი, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა მცხეთის საკითხიც. ახალი მთავრობის პირობებში, კარგია, რომ ეს თემები ცხარე კამათისა და დისკუსიის საგნად იქცნენ.**

**ჩვენი გაზეთი ცდილობს, აზრი ჰკითხოს ხელოვნებათმცოდნეებს, არქიტექტორებს, ისტორიკოსებს. ბუნებრივია, ყველაზე კომპეტენტური შეფასების მოსასმენად ინტერვიუ ვთხოვეთ ისტორიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს, რომელსაც ჩვენი ქვეყნის წარსული ხელისგულზე უდევს და ელოლიავება.**

# მარიამ ლორთქიფანიძე: ნუთუ არის სხვა ქვეყანა, რომელმაც ასე ხელაღებით გასწირა იუნესკოში შეყვანილი ძეგლი?!

## მცხეთის სიღნაღიზაციის სავალალო შედეგები

**— ქალბატონო მარიამ, ბაგრატის ტაძარი იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხიდან ამოიღეს. მცხეთის ლანდშაფტიც თანამედროვე არქიტექტურით ივსება, ამიტომაც ისიც ბაგრატის მსგავსად იმავე პრობლემის წინაშე შეიძლება დადგეს. თქვენი აზრით, რასთან გვაქვს საქმე და რატომ მოვედით ასეთ სავალალო შედეგამდე?**

— ამ ყველაფერს ერთი მიზეზი აქვს — მიხეილ სააკაშვილის არაერთი გამოსვლა, მისი საუბრები იმაზე, რომ საქართველოს ისტორია 2003 წლიდან იწყება, რომ საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობის მეცნიერები არ ჰყოლია და ა. შ. მიზეზი გახდა იმისა, რაც დღეს მივიღეთ. ჩვენ ამაყები ვიყავით, გვიხაროდა, რომ ჩამოვიდნენ იუნესკოს ექსპერტები, მოიარეს საქართველო, შეისწავლეს ჩვენი სიძველეები, კულტურა და მიზანშეწონილად მიიჩნიეს, ოთხი ძეგლი ელიარებინათ საერთაშორისო დონის კულტურულ მემკვიდრეობად. სააკაშვილის რიტორიკამ და გეგმამ, რომ ის ტაძრების მშენებლად და აღმდგენელად უნდა შესულიყო ისტორიაში, ბაგრატი შეიწირა. კარგად და ხატოვნად ბრძანა გოგი ხოშტარიამ: ის არის არა ბაგრატი, არამედ მიშას ტაძარიაო. თუმცა კი ბაგრატის ტაძრის აღდგენის ამბავი უფრო ადრე დაიწყო. დამირეკეს, პატრიარქი გთხოვთ, რომ მობრძანდეთო, რა თქმა უნდა, წავედი. იქ დამხვდნენ: ვახტანგ ბერიძე, პარმენ ზაქარაია, ირაკლი ციციშვილი (ეს ის დროა, როცა ისინი ცოცხლები იყვნენ) და მეუფე კალისტრატე. ეს უკანასკნელი მოითხოვდა ბაგრატის გადახურვას, თუმცა, დანარჩენები ამტკიცებდნენ, რომ სახურავი კი არა, ცელოფანის გადაფარებაც კი საზიანო იქნებაო. დისკუსია დიდხანს გაგრძელდა. როდესაც პატრიარქმა მომმართა, ვუპასუხე, მე ამ დარგის სპეციალისტი არ გახლავართ, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბაგრატს განსაკუთრებული



მიდგომა სჭირდება-მეთქი. მეუფე კალისტრატემ ბოლოს მითხრა: ქალბატონო მარიამ, ნუ მომისპობთ იმის საშუალებას, რომ მე გუმბათგადახურულ ბაგრატში წირვა ჩავატაროო. ეს იყო მისი ოცნება და ამისთვის მან მართლაც ბევრი რამე გააკეთა. მე კი თქვენი გაზეთიდან მინდა, მივმართო, რომ მან ვერ აიხდინა ეს ოცნება. მეუფე კალისტრატე, ის გუმბათგადახურული ტაძარი, სადაც თქვენ წირვა-ლოცვას აღავლენთ, ბაგრატი არ არის!..

**— თქვენი აზრით, როგორ მოხერხდებოდა ბაგრატის ტაძრის შენარჩუნება?**

— შეძლებისდაგვარად უნდა მომხდარიყო კედლების გამაგრება და იმ სახით კონსერვაცია, როგორიც მოიწონა ის იუნესკომ. მსოფლიო კულტურის საგანძურში ის შევიდა როგორც მე-11 საუკუნის ძეგლი. მართალია, შუა საუკუნეებში, როცა მტერი ანგრევდა ეკლესიებს, მისი განდევნის შემდეგ აუცილებელი იყო რესტავრაცია, რადგან ხალხს სჭირდებოდა წირვა-ლოცვა, მაგრამ ჩვენს საუკუნეში ამის აუცილებლობა არ დგას. ბაგრატის ტაძრის აღდგენაზე როცა დაიწყო დისკუსიები, მე ვიბრძოდი იმისთვის, რომ მხოლოდ კედლები გამაგრებულიყო. რა, ქუთაისს არ ეკუთვნის ერთი ტაძარიო? — ნიშნისმოგებით მითხრა ჩემმა ერთ-ერთმა კოლეგამ. რა თქმა უნდა, ეკუთვნის, ააშენეთ ახალი, სადაც გინდათ, რამდენიც გინდათ, თუნდაც ბაგრატის ეზოში, მაგრამ ის შევინარჩუნოთ ისეთი, როგორიც არის. რა სჯობს, ასეთი დანგრეული იყოს თუ აღვადგინოთო? სწორედ ის დანგრეული ტაძარია ეპოქის ძეგლი.

**— იმავე პრობლემის წინაშე დადგა მცხეთა, რადგან შუშის მაღალსართულიანი შენობები არ ესადაგებიან უძველესი ქალაქის ლანდშაფტს.**

— მცხეთა, როგორც უძველესი ქალაქი, შესულია იუნესკოს სიაში, მათ შორის ჯვარი და სვეტიცხოველი. შესული იყო არმაზი-ბაგინეთი, მაგრამ გაირკვა, რომ ის ამოულიათ ნუსხიდან, რადგან ის ტერიტორია გაუყიდიათ.

მცხეთა არის ჩვენი ისტორიის უტყუარი მოწმე. აქ ყველა პერიოდია წარმოდგენილი; მტკვრისა და არაგვის შესართავი ისტორიული ტერიტორიაა. სვეტიცხოვლის წინა მონაკვეთზე IV-V საუკუნის ნაშთები აღმოაჩინეს. ჩანაფიქრი ასეთი იყო, რომ დამთვალიერებელს ჯერ ეს ადგილი გაევლო და მერე შესულიყო სვეტიცხოველში. ეს მოსპეს, ზედ ბეტონი გადაასხეს. იმ ბეტონის აღება ახლაც არ არის გვიან, მაგრამ ამას სჭირდება პოლიტიკური ნება.

**— კულტურის სამინისტრო ამ მიმართულებით გააქტიურდა. შეჩერდა ინფრასტრუქტურული სამუშაოებიც, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ შესაძლებელია მცხეთის სახის შენარჩუნება.**

— ახალმა მთავრობამ აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება. ცუდია ნგრევა, მაგრამ ჩვენი კულტურის გადასარჩენად აუცილებელია ყველა ზედმეტი შენობისაგან გათავისუფლდეს ქალაქი. სამწუხაროდ, მე დიდი ხანია იქ არ ვყოფილვარ. სვეტიცხოვლის წინ სახლებია აშენებული და ხალხი შესახლებულიო. იქნებ ალტერნატიული საცხოვრებელი გამოუნახონ ამ ადამიანებს?! მართალია, ჯერჯერობით სვეტიცხოვლისა და ჯვრის იუნესკოს სიიდან ამოღებაზე არ არის ლაპარაკი, მაგრამ თუკი მცხეთის პრობლემა გაჩნდება, ავტომატურად ამოტივტივდება მათი ავთენტურობის საკითხი. აუცილებელია, ახალმა მთავრობამ შეინარჩუნოს და დაიცვას მცხეთა. ის არა მარტო ქართული კულტურის ძეგლია, არამედ საქართველოს ისტორიის შემადგენელი ერთი ეტაპია.

სასიამოვნოა, რომ კულტურის სამინისტრომ ამ საკითხს ყურადღება მიაქცია. ბაგრატის პრობლემა იმიტომ გადაწყდა სავალალოდ, რომ ის იყო მაშინდელი ხელისუფლების გეგმა და სურვილი. საბედნიეროდ, დღევანდელი ხელისუფლების ნება ასეთი არ არის და ამიტომ იქნებ მცხეთა გადარჩეს (თუ უკვე გვიან არ არის?), მაგრამ ასევე გულწრფელად მინდა ვურჩიო, უხერხული თუ არ იქნება, მისწეროს იუნესკოს და იკითხოს, **ნუთუ არის მსოფლიოში სხვა ქვეყანა, რომელმაც ასე ხელაღებით გასწირა იუნესკოში შეყვანილი ძეგლი?** არ ვიცი, მართლა ძალიან განვიცდი, ცუდად ვარ, რატომ მოვესწარი ამ ყველაფერს: ჯერ მიწების დაკარგვას, ახლა კიდევ უძველესი კულტურის ძეგლებისადმი ასეთ დამოკიდებულებას. გული ძალიან შემტკივა...

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

ვისაც როგორ უნდოდა, ისე უზერავდა

# აუშენებელი სახლების „ბინათმფლობელები", ტუის ტყუილები, თვითმკვლელობები და ხალხზე „მზრუნველი" მერიის „კეთილი ნება"

**შეფერხებები ბინათმშენებლობებში 1990 წლიდან (უფრო ადრეც) დაიწყო სერიოზულად. ხალხს შეტანილ თანხას არც უბრუნებდნენ, ვერც ფართით აკმაყოფილებდნენ. ამას დაერთო სტიქიური უბედურებები დასავლეთ საქართველოში და სამოქალაქო ომი. კრიმინალური გადატრიალების შედეგად მეორეჯერ გაპრემიერებული თენგიზ სიგუა მასთან შველის სათხოვნელად მისულ ბინის აშენების მსურველთ დაჰპირდა, თუ შესატან თანხას მთლიანად გადაიხდიდნენ, მშენებლები ეკონომიკურ კრიზისს დაძლევდნენ და მშენებლობები განახლდებოდა. თანაც დაურთო, გვარდიას (კიტოვანის „ჯარს") უჭირს და თითოეულმა ბინათმფლობელმა მის ანგარიშზე 1000-1000 მანეთი (მაშინ მიმოქცევაში რუსული რუბლი იყო) გადარიცხეთო. გამოუვალი მდგომარეობის გამო ხალხი ენდო პრემიერს, გადაირიცხა დიდძალი თანხა (მაშინ 20 ათასი მანეთი 18 ათასი დოლარის ეკვივალენტი იყო). მაგრამ მშენებლობები არ განახლებულა. მალე სიგუა-კიტოვანის ტანდემი პოლიტიკურ მოუსავლეთში გაგზავნეს და სოლიდური თანხების გადამხდელებისთვის პასუხის გამცემი აღარავინ დარჩა.**

1999 წლის 30 ივნისს პრეზიდენტმა შევარდნაძემ გამოსცა ბრძანებულება „სახელმწიფო — საშინაო ვალის დაფარვის შესახებ", რომლის მიხედვითაც სამშენებლო კოოპერატივების მიერ სახელმწიფოს ანგარიშზე შეტანილი თანხები სახელმწიფოს ვალად აღიარეს. იმავე წლის 12 ოქტომბერს პრეზიდენტმა ახალი ბრძანებულება გამოსცა შიდა ვალების დაფარვის „ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ", რომელშიც ნათქვამი იყო, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური და ფინანსური შეჭირვებულობის გამო ქონების მართვის სამინისტროს, მიწის რესურსების სახელმწიფო დეპარტამენტს, თბილისის მერიას დაევალათ დაზარალებულთა დასაკმაყოფილებლად, თანხების სანაცვლოდ მოეძიათ არაპრივატიზებული გამოთავისუფლებული ბინები, სურვილის მიხედვით მიწის ნაკვეთები, არასაცხოვრებელი ფართები და ა. შ.

პრეზიდენტისგან დავალებულმა უწყებებმა შენობა-ნაგებობები ვერ (ან არ) მოიძიეს. სამაგიეროდ, გამოყვეს მიწის ნაკვეთები. ამ პროცესს თან ახლდა ასობით საპროტესტო აქცია, საჩივრები და ა. შ. სიგუასდროინდელ აფიორას სპეციალისტები „სამშენებლო პირამიდას" უწოდებენ.

მოსახლეობას თითქოს თავისი შრომითი მონაგარი ნაწილობრივ მაინც არ ეყრებოდა წყალში. მაგრამ 2008 წელს მოსახლეობისთვის კომპენსაციის სახით სახელმწიფოსაგან გაცემული მიწის ნაკვეთები უგულავამ დაზარალებულებს ჩამოართვა და სხვა სამშენებლო კოოპერატივებსა თუ ფირმებს მიჰყიდა. ისევ დაიწყო აქციები, საჩივრების წერა. მაგრამ ამას მათ გასაჩუმებლად ერთადერთი ნაბიჯი მოჰყვა — ხელმეორედ დაზარალებულებს, ამჯერად უკვე ქონებააყრილებს ჰპირდებოდნენ (დედაქალაქის ხელმძღვანელობა) მიწის ნაკვეთებს ჯგუფურად და ეტაპობრივად. მაგრამ დღეს უკვე დაპირებებიც აღარ ისმის.

თუმცა, „სამშენებლო პირამიდებთან" დაკავშირებული სკანდალები მხოლოდ არეულობისა და განუკითხაობის პერიოდით არ შემოიფარგლა. ის დღესაც გრძელდება.

### „ტუი ტყუის, ო, როგორ ტყუის ტუი"

**საზოგადოებაში განსაკუთრებით „პოპულარული და აღშფოთების გამომწვევია სამშენებლო კომპანია „ცენტრ პოინტის" საქმე, რომლის დამფუძნებელი არიან შევარდნაძისდროინდელი პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი და მისი მეუღლე მაია რჩეულიშვილი. მართალია ოფიციალურად არსად ჩანს, მაგრამ იქვე ტრიალებს მაიას და — „ნაცების ზეობის" უკანასკნელი ვიცე-სპიკერი რუსუდან კერვალიშვილი მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ათასობით ოჯახი სარჩოს გარეშე, ღია ცის ქვეშ დარჩა.**

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ" შეისწავლა რჩეულიშვილების კომპანიის საქმიანობა და გამოაქვეყნა დასკვნა, რომლის მიხედვითაც, „ცენტრ-პოინტმა" 6200 ოჯახს მიაყენა ზარალი, ხოლო მათ მიერ მშენებლობისთვის გადახდილი 310 მლნ დოლარი არამიზნობრივადაა გახარჯული.

სიტუაცია გამწვავდა თუ არა, რჩეულიშვილებმა გამოსავალი იპოვეს: თავი გაკოტრებულად გამოაცხადეს, ხოლო მოვალეები კომპანია „დექსუსს" გადააბარეს, რომელმაც ნაწილს, ვისაც ბინა უკვე აშენებული ჰქონდა, დამატებით 18 პროცენტი დღგ-ს გადახდა მოსთხოვა, დანარჩენებს კი ახალმა კომპანიამ დაცდა ურჩია.

„გაკოტრებული" „ცენტრ-პოინტის" დამფუძნებლებმა ყველა განაწყენებულ პოტენციურ მობინადრეს წერილები დაუგზავნეს, მაია რჩეულიშვილის პირადი ქონება და ანგარიშები დაყადაღებულიაო, რასაც ადრესატი იმის მინიშნებად თვლიან, რომ რჩეულიშვილები მათ ჩივილისათვის თავის დანებებას ურჩევენ — ფული მაინც არა გვაქვსო. თუმცა, საჩივრები მაინც შედის. როგორც მოსარჩელეები აცხადებენ, წინა ხელისუფლების დროს სასამართლოები საჩივრების მიღებას, პროცესების ჩანიშვნასა და დაწყებას აჭიანურებდნენ. ეს არცაა გასაკვირი, კერვალიშვილი ხომ ვიცე-სპიკერი და სააკაშვილთან მეტად დაახლოებული პერსონა იყო.

იხ. 4 გვ.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ რეპრესირებული გვიამბობს

# „ძველმა ხელისუფლებამ უკანონოდ დამსაჯა, ახალმა კი ჯერჯერობით სამართალი არ მაღირსა“



**ნომრის სტუმარია ცნობილი ეკონომისტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, წლების განმავლობაში სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტისა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნაპოლეონ ძარძაშაძე, რომელმაც თავის თავზე გამოსცადა სააკაშვილის ნაციონალური რეჟიმის სისასტიკე და უსამართლობა.**

**— ბატონო ნაპოლეონ, თქვენ ძირითადად გიცნობენ, როგორც მეცნიერს და პუბლიცისტს, მაგრამ ამჯერად მინდა, გესაუბროთ, როგორც სააკაშვილის რეჟიმისგან რეპრესირებულს. თქვენ ერთ-ერთი პირველთაგანი იყავით იმ ადამიანთა შორის, რომლებმაც 2004 წელს საკუთარ თავზე იწვნიეს ის ბოროტება, რომელიც თან სდევდა ავტორიტარულ რეჟიმს.**

— სააკაშვილის ბოროტმა ავტორიტარიზმმა ადამიანების სულიერება გარყვნა. მისი დასაყრდენი ძალები იყვნენ, ერთი მხრივ, დეგრადირებული, გაუნათლებელი, გაურკვეველი წარმომავლობის ადამიანები მერაბიშვილების, ადეიშვილების, კეზერაშვილებისა და სხვათა სახით და მათთან ერთად იყვნენ და დღესაც არიან ინტელექტუალები, ან ის ხელოვანი ადამიანები, რომლებიც დამსახურებულად უყვარდა ხალხს... ამოუხსნელი ფენომენია, თუ როგორ შეძლო მან თითქმის შეუთავსებელი ადამიანების გაერთიანება?

**— მივუბრუნდეთ ძირითად თემას. საზოგადოებამ იცის, რომ თქვენ სააკაშვილის ოჯახის პატიმარი იყავით. პრეზიდენტმა არ გაპატიათ ბაბუამისის სამსახურიდან გაშვება...**

— სამწუხარო ისაა, რომ საზოგადოება, რომელმაც იცოდა სიმართლე, ჩუმად იყო. სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის თანამშრომლების გარდა, ჩურჩულითაც კი ვერავინ გაბედა კითხვის დასმა.. სააკაშვილის გარემოცვაში იყვნენ და დღესაც არიან ადამიანები, რომლებზეც გარკვეული ამაგი მაქვს. ამაზრზენი იყო მათი სიჩუმე. ცხადია, ისინი აცნობიერებენ, თუ ვინ იყო სააკაშვილი და თავიანთი სილაჩრით ყველა იმ უბედურების თანამონაწილენი გახდნენ, რაც სააკაშვილმა ჩაიდინა. უფრო მეტიც, ყველა ის დეპუტატი, რომელმაც ხმა მისცა კონსტიტუციის „გაუპატიურებას“, სისხლის სამართლის დამნაშავეა.

**— თქვენ ხუთი თვის წინათ შეიტანეთ განცხადება მთავარ პროკურატურაში. ითხოვთ სრულ რეაბილიტაციას და უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას. დღემდე პასუხი არ მიგიღიათ. რა ხდება? რასთან გვაქვს საქმე?**

— ძალიან ძნელია მშვიდად იყო, როდესაც უსაფუძვლოდ დაგაპატიმრებენ. 70 წლის კაცი 108 დღე ორთაჭალის ციხეში მაყურყუტეს, მემკვიდრეობით და საკუთარი შრომით შეძენილი ქონება წამართვეს, მარტო მე კი არა, ჩემ შვილსაც, სამი შვილის დედას, მედიცინის დოქტორს, იმიტომ, რომ ჩემი შვილია. კარიერა დამიმსხვრიეს, ღირსება და ავტორიტეტი შემილახეს... 9 წელიწადია ველოდებოდი სამართალს და როდესაც მეგონა, მეშველამეთქი, ვხედავ, რომ ახალი ხელისუფლება ივიწყებს დანაპირებს, აცხადებს გაუგებარ „კოჰაბიტაციას“, ეკეკლუცება საერთაშორისო ორგანიზაციებს, ვერ იგერიებს „ნაცმოძრაობის“ ინტრიგებს. და ყველაფერი ეს ხდება ჩვენი ხალხის ნერვების წყვეტისა და ფსიქოლოგიური სტრესების ხარჯზე.

**— თქვენ თვლით, რომ პარლამენტი თავს არიდებს ასეთი საკითხების განხილვას?**

— ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს. მე ვიყავი მთავარ პროკურორთან, რომელმაც თქვა, რომ თებერვალში პარლამენტი აუცილებლად მიიღებს დადგენილებას, რომელიც მოგვცემს საშუალებას, განვიხილოთ პროკურატურაში შემოსული საჩივრებიო. აგერ აპრილიც მალე მიიწურება, სად არის კანონი? ან რა დიდი სჯა-ბაასი უნდა იმას, რომ განიხილონ საჩივრები, მტყუანს უთხრან რომ ტყუის, ხოლო მართალს დაუბრუნონ ყველაფერი, რაც წინა მთავრობამ უკანონოდ წაართვა. მიკვირს, რატომ არ ტეხენ ხმაურს ის პარლამენტარები, რომლებიც წინა ხელისუფლებამ დააზარალა, ზოგი 26 მაისს სასიკვდილოდ სცემა, ზოგს ქონება წაართვა... რატომ არიან ჩუმად?!

სამი თვე დაკარგეს „ვენეციის კომისიის“ რაღაც დასკვნაზე. ვენეციის კომისიაში, ჩვენს მიერ გაგზავნილ პროექტზე, ალბათ, ერთი ექსპერტი მუშაობს, მისთვის ეს ჩვეულებრივი რუტინული სამუშაოა... ვინმემ დასაჯა სააკაშვილი, რომელმაც მათი დასკვნები ფეხებზე დაიკიდა? ცხადია არა, „დემოკრატიის შუქურადაც“ კი გამოაცხადეს.

იხ. 9 გვ.

◉ ვისაც როგორ უნდოდა, ისე უზერავდა

# აუშენებელი სახლების „ბინათმფლობელები“, ტუის ტყუილები, თვითმკვლელობები და ხალხზე „მზრუნველი“ მერიის „კეთილი ნება“

(მესამე გვერდიდან)

თუმცა, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ სასამართლოებში შეყოვნებები გამორიცხულია. ყველა პროცესი „ცენტრ-პოინტისა“ და „დექსუსის“ მარცხით მთავრდება, მაგრამ დამარცხებულებს წაგებული საქმეები სააპელაციოში გადააქვთ. მომჩივნებს უჩნდებათ საფუძვლიანი ეჭვი, რომ კომპანიები შეგნებულად ცდილობენ დროის გაჭიანურებას. მოსარჩელეებში გაოცებას იწვევს ის გარემოება, რომ გაკოტრებულმა „ცენტრ-პოინტმა“ თავის მემკვიდრედ „დექსუსი“ გამოაცხადა, სასამართლო სხდომებს კი მაინც „ცენტრ-პოინტის“ იურისტი ესწრება.

სამშენებლო კომპანიისგან რამდენიმე პიროვნების უფლებების დამცველი ადვოკატი რამაზ ჩინჩალაძე ყოველივეს რჩეულიშვილების მაქინაციებად აღიქვამს და თვლის, რომ ყველაფერი წინასწარ დასახული გეგმით ხორციელდებოდა. ორთაჭალაში, თვალის კლინიკასთან გამოყოფილი მიწის ნაკვეთი, სადაც სახლი უნდა აშენებულიყო, მაია რჩეულიშვილს იპოთეკით აქვს დატვირთული. მსესხებელი კი მისი მეუღლე ვახტანგია, აკონკრეტებს უფლების დამცველი და იქვე განაგრძობს — საჯარო რეესტრის თანახმად, მიწა იპოთეკით 2011 წლის 9 აგვისტოს დაიტვირთა, მესაკუთრე შპს „პროფერთი ინვესტია. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს-ს დამფუძნებელი და 100 პროცენტი წილის მფლობელი ვახტანგ რჩეულიშვილია.

თავის მხრივ, ტუიმაც ისესხა ფული შპს „თანამედროვე ფასეულობათა ინვესტიციებიდან“, სადაც დამფუძნებელი და მთავარი ფიგურა მაია რჩეულიშვილია. გამოდის საინტერესო ჯაჭვი: ცოლი-ქმარი-ცოლი, რაც ადვოკატს კარგად მოფიქრებულ, მაგრამ იაფფასიან სქემად მიაჩნია. ჩინჩალაძე განმარტავს, რომ სააღსრულებლო კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად აუქციონზე გატანილი ქონება თუ ვერ გაიყიდა, კრედიტორის ნაცვლად ის მოვალეს რჩება. გამოდის, რომ ქონებას რჩეულიშვილები ვერასგზის ვერ დაკარგავენ.

კრწანისის ობიექტთან დაკავშირებულია რუსუდან კერვალიშვილი. მას „თი-ბი-სი“ ბანკიდან ამ მიზნით აღებული აქვს 20 მლნ 200 ათასი დოლარი, ადვოკატს უკვირს, თუ რატომ გასცა ბანკმა ამხელა თანხა. მისივე გადმოცემით „ცენტრ-პოინტის“ გარშემო 70-მდე კომპანიაა თავმოყრილი, რომელნიც რჩეულიშვილებზე, კერვალიშვილეზე ან მათთან დაახლოებულ პირებზეა გაფორმებული. საქმე გვაქვს სახელმწიფო დონის აფიორასთან. სააკაშვილის პირობებში რჩეულიშვილები მარტონი ამას ვერ გაბედავდნენ. იკვეთება ელიტური კორუფციის ნიშნები, რადგანაც თუ პროკურატურა ამ საქმეს დროულად მიხედავს, აუცილებლად გამოიკვეთება თანამდებობის (ყოფილი, შეიძლება ამჟამინდელიც) პირების ლობისტური საქმიანობა, — ასკვნის ჩინჩალაძე.

ვახტანგ რჩეულიშვილი ყველა ბრალდებისგან დაძვრენას ცდილობს და სურს, თავი დაზარალებულად წარმოადგინოს. შპს „თანამედროვე ფასეულობათა ინვესტიციის“ მისი მეუღლის მფლობელობაში ყოფნას ყოფილი ვიცე-სპიკერი არ უარყოფს, მაგრამ იქვე დასძენს, რომ ამ ფირმამ მაია რჩეულიშვილს ბინა წაართვა (მიზეზებს არ ასახელებს). იგი ასევე არ უარყოფს „ფროფერთი ინვესტის“ მის მფლობელობაში არსებობას. მაგრამ იქვე განმარტავს, რომ მას იქ არაფერს ეკითხებიან (მიზეზს აქაც არ ასახელებს).

რჩეულიშვილი თავს დამნაშავედ გრძნობს, რომ „დექსუსთან“ კაბალურ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. მას თავი „დიდი“ პოლიტიკოსი ჰგონია, „დექსუსთან“ მისი მხრიდან კოჰაბიტაციის უშედეგო მცდელობაზე საუბრობს მისი ფირმისა და მისსავე სამართალმემკვიდრე კომპანიის ურთიერთობას სააკაშვილისა და ივანიშვილის დამოკიდებულებას ადარებს.

### ნუ მიიყვანთ ტუის თვითმკვლელობამდე!

**ანალიტიკოსს ლევან ლომაძეს მეტად საგულისხმოდ მიაჩნია რჩეულიშვილის არაერთგზის გაცხადებული, რომ იგი მიესალმება მისი ფირმით პროკურატურის დაინტერესებას. ანალიტიკოსი სვამს კითხვებს, ხომ არ იყო ყოფილი ვიცე-სპიკერი ვინმეს მიერ იძულებითი „პადსტავნოი“ ან ხომ არ ჰყავდა იგი ყოფილ ხელისუფლებას მუდმივი წნეხის ქვეშ. ამ კითხვის გაჩენის შესაძლებლობას კი იძლევა ოქტომბრის არჩევნებამდე წელიწადნახევარში სამშენებლო სექტორში მომხდარი არც თუ უმნიშვნელო ფირმების მფლობელთა თვითმკვლელობის ფაქტები.**

მენაშენეთა ასოციაციის ხელმძღვანელის ირაკლი როსტიაშვილის გადმოცემით, სუიციდის მსხვერპლნი გახდნენ — კომპანია „მერიდიანის“ ხელმძღვანელი გია გურული, „აკადემქალაქის“ მფლობელი ნუგზარ ჟღენტი და სამშენებლო სექტორში დასაქმებული თამაზ ლობჟანიძე. ახლობელთა ვერსიით, ყოველი მათგანი ამ უკიდურესობამდე წინა ხელისუფლების მაღალი ეშელონების მხრიდან მუდმივმა ზეწოლამ მიიყვანა. როსტომაშვილი ამბობს, რომ მომხდარის გამოძიება ხელისუფლების მხრიდან ღირსების საქმე უნდა გამხდარიყო, მაგრამ არაფერი გაკეთებულა. იგი გაკვირვებულია იმითაც, რომ ტრაგედია არ გამხდარა საზოგადოების განსჯის საგანი.

ასოციაციის ხელმძღვანელი იმ ფაქტორებზეც საუბრობს, რაც მშენებლებზე მომაკვდინებლად მოქმედებს და სექტორი კრიზისში ჩააგდო. პირველ რიგში ბანკები, რომლებიც ზემოქმედებენ სამშენებლო კომპანიებზე. ზოგიერთი კომპანიის გაკოტრებით ბანკებმა არნახული მოგება ნახეს.

როსტომაშვილი დარგში დასაქმებულ ზოგიერთ არაპროფესიონალზე აკეთებს აქცენტს — მშენებლების მიერ თავის დროზე გამოჩენილმა წინდაუხედაობამ, ფულისფლანგვამ, და რეალურად არარსებული პროექტების ინვესტირებამ სამშენებლო ინფრასტრუქტურა განადგურებამდე მიიყვანა, რაც საბოლოოდ დაბრალდა ჯერ აგვისტოს ომს და შემდეგ — კრიზისს. ამის გამოა, რომ დღეს მშენებლები დაპირებულ „თეთრ კარკასებს“ კი არა, „შავ კარკასებსაც“ ვერ აბარებენ.

მშენებელთა ასოციაციის თავკაცი აცხადებს, რომ ამჟამად სამშენებლო სექტორი მოლოდინის რეჟიმშია და დარწმუნებულია, რომ გაზაფხულის ბოლოს დიდი გამოცოცხლება დაიწყება და სამშენებლო პროცესები განახლდება.

### რას გეგმავს ახალი ხელისუფლება

**კოოპერატიული ბინათმშენებლობის საქმე ახალმა ხელისუფლებამ წამოსწია. 2004 წელს ვარდოსნების ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ამ საკითხთან დაკავშირებულ დაზარალებულთა საქმეების შემსწავლელი კომისია შეიქმნა, რომელიც მკვდრადშობილი აღმოჩნდა. 2011 წ. დეკემბრიდან 9 წლის განავლობაში უფუნქციოდ დარჩენილმა კომისიამ ახლა მუშაობა დაიწყო.**

რამდენიმე დღის წინათ დაზარალებულებს შეხვდა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, დეპუტატი ოპოზიციიდან (იქ „ოცნება“ უმცირესობაშია და ჯერჯერობით უგულავას ჯგუფი ბოგინობს) ჯაბა სამუშია. მან შეხვედრის მონაწილეთ განუმარტა, თუ რა ფუნქციები უნდა შეასრულოს ახალმა, სისხლნაცვალმა კომისიამ. პირველი და უმთავრესი — 2 თვეში მომზადდეს საკანონმდებლო დონეზე დაზარალებულთა დაკმაყოფილების ფორმები, ვადები და დაიდოს სამოქმედო გეგმა.

სამუშიამ ისიც აღნიშნა, რომ მერიის შეუსრულებელი ვალდებულებების შესრულება (ადგილორივი ქონების გადაცემა, მიწების დარიგება დაზარალებულთათვის და ა. შ.) კომისიის მეშვეობით ცენტრალურ ხელისუფლებას მოუწევს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის დაზარალებულებთან შეხვედრას უმალ გამოეხმაურა უგულავას რუპორი, მისი პრესცენტრი ბაჩო დოლიძე. მან განაცხადა, რომ სამუშაო ჯგუფს, რომელიც შეიქმნება, ჩვენი წარმომადგენელიც უნდა შეუერთდნენო. ცუდად ინფორმირებულმა რუპორმა ისიც არ იცის, რომ კომისია 2 თვეა მუშაობს და თუ მერიას რაიმეს გაკეთება სურს, დროა, სამუშაო ჯგუფს ახლავე წარუგზავნოს თავისი წარმომადგენელი. დოლიძემ თავისი ადრინდელი გამონათქვამის შინაარსის გამოსწორებაც სცადა და განაცხადა, თუ არიან ისეთი პიროვნებები, დაზარალებულები, ვისაც რაღაც ნაკვეთი გადაეცა და შემდგომ უკან ჩამოერთვა, შეუძლია მერიის ქონების მართვის სამსახურს მიმართოს, რომელიც კონკრეტულ ფაქტს შეისწავლის და მოკვლეული მასალების საფუძველზე შესაბამის განცხადებას გააკეთებსო(!).

ამის პარალელურად, ქვეყნის მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი დაინტერესდა იმ საკითხით, თუ რატომ ვერ (თუ არ) შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებები სამშენებლო კომპანიებმა.

დაზარალებულები იმედიანად უყურებენ ახალი ხელისუფლების წამოწყებულ საქმეს — ამდენი წელი გვითმენია და ახლაც მოვითმენთო. მათ სჯერათ, რომ ახალი ხელისუფლება ძველის მსგავსად დაზარალებულთა საკითხებსა და საქმეებს საკუთარი პიარისთვის არ გამოიყენებს და თემას მხოლოდ ნებისმიერი დონის არჩევნების წინ არ წამოწევს... დროებით.

**ზაზა ბილიხოძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ კარგი ქართული საქმე

# ...რომ არ შობილიყო ბიჭი ამაშუკეთს

## ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

**მაგთიკომის ოფისში გამართულ საღამოზე უამრავი მადლობა გადაუხადეს კომპანიას კეთილი საქმეებისთვის, წარმატებული პროექტებისთვის, ქართული ხელოვნების პოპულარიზაციისთვის. ესეც ერთ-ერთი დღესასწაულთაგანი იყო, რადგან მაგთის ინიციატივითა და მხარდაჭერით ქართველი მოქანდაკის ელგუჯა ამაშუკელის ნამუშევართა ალბომი გამოიცა – მაღალპოლიგრაფიული ხარისხის, არაჩვეულებრივი რედაქციით, უდავოდ დიდი სკულპტორის შესაფერისი.**

საოცარია, მაგრამ როგორც ელგუჯა ამაშუკელის მეუღლემ პოეტმა **ლია სტურუამ** აღნიშნა, ის ერთადერთი მოქანდაკეა, რომელსაც სიცოცხლეში არც ერთი ალბომი და კატალოგი არ ჰქონია: **„მოქანდაკე ვარ და არ შემიძლია, დრო ამაში დავკარგოო, ამბობდა თურმე. ...არის დრო, როცა რაღაც პროვინციალიზმი სჭარბობს ხოლმე, ჩრდილში დგანან ბუმბერაზები და ისე კვდებიან, რომ არ ჩანან“, – თქვა საღამოზე ქალბატონმა ლიამ. თუმცა, ელგუჯა ამაშუკელის შემოქმედებაზე ეს, ალბათ, ნაკლებად ითქმის. სრულიად ახალგაზრდა გახდა რუსთაველის პრემიის პირველი ლაურეატი კონსტანტინე გამსახურდიასთან, ლადო გუდიაშვილთან და ირაკლი აბაშიძესთან ერთად.**

მართლაც, წარმოუდგენელია თბილისი და საქართველოს სხვა ქალაქები ელგუჯა ამაშუკელის შემოქმედების გარეშე. როგორც მისი მონუმენტების თანაავტორი არქიტექტორი **ვახტანგ დავითაია** ამბობს: **„ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ არ არსებობენ „ქართვლის დედა“ და „ვახტანგ გორგასალი“, „ფარნავაზი“, „ვეფხი და მოყმე“, „ფიროსმანი“ თბილისში, „კოლხი დედა“, „მეზღვაურთა მემორიალი“ და ცოტნე დადიანის ძეგლი ფოთში, გორის „მზეჭაბუკი“, „დავით აღმაშენებელი“ ქუთაისში – ხომ გაღარიბდა სამყარო? მაგრამ არსებობს არანაკლებ მნიშვნელოვანი სხვა სამყაროც, რომელიც ყველასთვის არ არის ცნობილი. ესაა მცირე და დეკორატიული ქანდაკებები, ფერწერა, გრაფიკა, პუბლიცისტური შემოქმედება“.**

მაგთიკომის შემოქმედებითმა ჯგუფმა დიდი შრომა გასწია, რათა ერთ ალბომში თავმოყრილიყო შემოქმედის განვლილი გზა, რომელიც ყოველთვის არაჩვეულებრივ ნაკვალევსა და მდიდარ შემოქმედებით მემკვიდრეობას უტოვებდა შთამომავლობას. როგორც საღამოზე ისტორიკოსმა **როინ მეტრეველმა** აღნიშნა: **„იგი ამასთანავე იყო ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, რადგან მის ყოველ ქანდაკებაში ჩანს სიყვარული ისტორიისა, საკუთარი ქვეყნის ბედისა. სწორედ თავის ძეგლებში ჩადო ჩვენი ისტორიის ფურცლებიდან გამოყოლილი განცდა, ემოცია, ჩადო თავისი სული და გული“.**






კიდევ ბევრი თბილი სიტყვები ითქვა პრეზენტაციაზე, ვინაიდან არაერთმა შემოქმედმა, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენელმა მოიყარა თავი. ყვებოდნენ და იხსენებდნენ ელგუჯა ამაშუკელს, როგორც კარგ პიროვნებას, მოსაუბრეს, პოლემისტს, თამადას, ხელმძღვანელს, არაჩვეულებრივ მეუღლესა და მამას. კიდევ ერთხელ დავესესხები ვახტანგ დავითაიას, რომელიც მოქანდაკეზე ასე ამბობს: **„ელგუჯა მოკლებული იყო ადამიანთა მოდგმის ისეთ თვისებებს, როგორიცაა შური და სიძულვილი. ყველაზე მძაფრი გამოხატულება უარყოფითი ემოციისა იყო ფრაზა: „რას იზამ, ადამიანია“.**

ელგუჯა ამაშუკელის შემოქმედების კრებულის გამოცემა უდავოდ ქართული საქმეა, რისთვისაც მადლიერების გამოხატვა არ დავიწყნიათ სტუმრებს ბატონ გია ჯოხთაბერიძისა და მისი გუნდის მისამართით. მაგთიში კი ირწმუნებიან, რომ კვლავაც გააგრძელებენ ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას. კომპანიამ უკვე გამოსცა ირაკლი ფარჯიანის, ედმონდ კალანდაძის, თემო ჯაფარიძის, რადიშ თორდიას, მერაბ აბრამიშვილის, კოკი მახარაძის, დიმიტრი ერისთავის, ჯიბსონ ხუნდაძის, ოთარ ჩხარტიშვილისა და თემო გოცაძის ნამუშევართა ალბომები.

**ახლა კი მათ რიცხვშია ელგუჯა ამაშუკელი. „რომ არ ყოფილიყვნენ ამაშუკელები, რომ არ შობილიყო ბიჭი ამაშუკეთს... მომჭერით თავი, მომჭერით თავი – თუ გვექნებოდა ეს „ქართვლის დედა!“ (მურმან ლებანიძე). რომ არ ყოფილიყო მაგთის მონდომება, არ გვექნებოდა ალბომი იმ მოქანდაკისა, რომელიც „ჩვენს დრომდე ასრულებს სახელოვნებო, სოციალური და კულტურული აზრის კატალიზატორის როლს, როგორც ამას წერს ხელოვნებათმცოდნე თამთა-თამარ შავგულიძე, – ქანდაკების თითქმის ნახევარსაუკუნოვანი აქტუალობის შენარჩუნება კი მათი შემოქმედის უდაო და დროში ხანგრძლივი ტრანსლირებადი წარმატების ნიშანია, რომელშიც მოქანდაკე მარადიულად აგრძელებს სიცოცხლეს“.**

**თეა მოსია**

◉ დღე პირველი, დღე უკანასკნელი

# ილიას და აკაკის გასცლოდნენ იქაურობას,

**პირველი დღეა, როდესაც ჩემს საყვარელ რუსთაველზე, სადაც ყველა ჭადარი მიცნობს (სადღაა თორემ კი...), გავლა მეუხერხულა. ალბათ მეც ვარ დამნაშავე, შენც, ნაღდო თბილისელო და შენც, ვისაც ჩემი ქალაქი გიყვარს. ალბათ, ყველანი ვცოდავთ დედაქალაქის დედაგამზირის წინაშე.**

დღეს ხომ 19 აპრილია (ნეტავ, პირველი იყოს – ტყუილი მეგონებოდა) მანქურთების, ნამუსგარეცხილების და გადაგვარებულ ნაძირალათა შეკრების დღეა. ბოლო წუთამდე მეგონა გადაიფიქრებდნენ რიხიანად დაანონსებულ ნაცგეურაღლუმს, მაგრამ ნურას უკაცრავად.



– მე უნდა წავიდე, – მეუბნება ჩემი მეგობარი, ცნობილი ფოტოხელოვანი გივი ჯოლბორდი, და თავის იარაღს (ფოტოაპარატი მაქვს მხედველობაში, ემანდ ვინმე ნაცნარჩენმა არ ატეხოს ერთი ვაივიში შეიარაღებულნი მოვიდნენო) ამოწმებს. – ისტორიას ხომ უნდა შემოვუნახო რამდენი არაკაცი ჰყავს საქართველოსო.

შვებით ამოვისუნთქე. ალბათ, იქ შეკრებილთა უმეტესობაც მხოლოდ იმ მიზნით მიდის, რომ „სირცხვილის წიგნში“ შესატანთა სახეებს მოავლოს თვალი. იქნებ წავიდე და მეც შევავლო თვალი?

ღმერთმა დამიფაროს და ისეთ ვინმეს არ წავაწყდე, მერე გული რომ გამისკდეს...

მაპატიე, ჩემო რუსთაველის გამზირო.

ამაყად ვიდექი აქ 9 აპრილს ფეხმძიმე მეუღლესთან ერთად...

ამაყად ვიდექი აქ 7 ნოემბერსა და 26 მაისს ჩემს ვაჟებთან ერთად...

ამაყად ვიდექი აქ შარშან, სექტემბერში, ჩემს პაწაწინა შვილიშვილთან ერთად.

ახლა კი მაპატიე, მოღუშული, ნამუსშერცხვენილი რომ მოვედი. ნამუსშერცხვენილი, რადგან იქ შეკრებილ გარეწრებთან არ გამაიგივოს ვინმემ.

მე მხოლოდ თვალის შევლება მინდა, ეს ჩემი, ბოლოს და ბოლოს, პროფესიული მოვალეობაცაა.

არის „ხალხი“...

არც გამკვირვებია, ასე უცებ ხომ არ გადასხვაფერდებოდნენ.

არიან აგონიაში მყოფი ადამიანის მდგომარეობაში, ზუსტად ისე, მომაკვდავს რომ ფანჯარას შეუღებენ, იქნებ სუფთა ჰაერმა ცოტა მოასულიეროსო.

სუფთა ჰაერი კი არის, მაგრამ დამყაყებულთა ბუნებას ტრიბუნიდან მონადენი მძორის სუნი ურჩევნია მთაწმინდის მონაბერ სიოს.

როგორ უხარიათ ერთმანეთის ნახვა.

მაინც შემრცხვა და ქაშვეთისკენ ჩავუხვიე. ცოდვას მოვინანიებ, სანთელს დავანთებ, სამშობლოს დაწყნარებას შევთხოვ-მეთქი, რომ ორი ხელჯოხიანი დარბაისელი მოხუცი შევნიშნე ჩემს წინ. ხელკავით, ნელი ნაბიჯით ჩადიოდნენ ქაშვეთთან კიბეზე, ალბათ, მათაც სურდათ გასცლოდნენ იქაურობას, დროებით მაინც.

– ფრთხილად აკაკი, აქ საფეხურებია.

უკან მოვიხედე. პირველ გიმნაზიას გავხედე. ილიასა და აკაკის ძეგლის კვარცხლბეკი ცარიელი იყო. ბრძენი მამულიშვილები სირცხვილის გრძნობას შეუწუხებია და დროებით გასცლიან იქაურობას.

ეს იყო დღე პირველი...

იმედი ვიქონიოთ, რომ ეს იქნება დღე უკანასკნელიც...

**მამუკა ვაშაკიძე**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com


მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე, პოეტი ემზარ კვიტაიშვილი

**ემზარ კვიტაიშვილი**

# ახალი რვეულიდან

## თამარის ხსოვნის დღე შინდისის დედათა მონასტერში

მზე იმად ბრწყინავს, ნათელი თესოს
და მოოქროვდეს ბჭეც, მონასტერის...
ტოკავს ცირცელი, განძარცულ ეზოს
თმაჩამოშლილი ძეწნა დასტირის.

აქ წაეფარა მის თვალებს ბინდი,
დაცვაც, რჯულისა, ღმერთს აქ შეჰფიცა,
აქვე კოცნიდნენ შროშნები მინდვრის,
ტურფები, ტერფებს თამარ მეფისა.

აქ ამოვყევით, დილითვე, მოძღვარს.
ფიჭვის კორომი, თიხა, ნაგლესი...
მამა ადამის ბუზუნი, ლოცვა,
თამარის ფრესკა და პარაკლისი.

მოლამუნება ჰაერის ტალღის...
ბილიკო, საით მიიზლაზნები?!
გრილია თავსაბურავი თალხი,
ზმანებად მოჩანს ზნე მონაზვნების.

რას გაცლის წუთისოფელი ჩქარი...
თოვლის ნაფლეთი ჩანდა ფანჯრიდან,
ღიავდებოდა დროდადრო კარი,
ქარი სუსხიან სუნთქვას მაჩრიდა.

რვა საუკუნის შევძელით ათვლა,
მოგვყვება შენი მადლი, ლაშარო!..
ქართლი, ნათქერი, ხომ დარჩა ქართლად,
ხსენება მისი ვერვინ წაშალოს.

სენაკში შობის ვიხილეთ წამი,
გადავიქეცით ჩვენაც ბავშვებად...
მერე – თორმეტი საათი ღამის –
ციდან მიწაზე ჰგავდა დაშვებას.

## ჩავლა სასახლის ბაღთან

თამარ ჯავახიშვილს

მოსისხლესაც შეშურდეს,
გალობენ თავაშვებით...
ჩვენი ყრმობის სასახლის
სხვაგვარია შაშვები.

რა ედაროს იმ სურნელს,
გაზაფხულის მოტანილს?!
გახსენებაც მაშინებს,
დავრჩით ისე ცოტანი.

გულით გვიტარებია,
ვინც რო ჩვენი ღვიძლია;
ლექსი არაფერში და
აროდეს გაგვიცვლია.

## ხსოვნაში გამქრალი დღე

(ზაურ გოლქვაძე, ანზორ სალუქვაძე)

ცხრა მთას იქით ვჭვრეტდი ზამთარს,
ის პურობა ჩამრჩა სამთა,
ჩემთან ერთად თანშეზრდილი
ორი დიდი ბიჭი სვამდა.

ჩრდილს ვეძებდით, ბრაზიანმა
მზემ რომ გაგვიბზარა კეფა...
ფრთაალესილ იმ ზაფხულის
ვერ შევძელი დავიწყება.

გვირილის და რძია-რძიის
ახლაც მიღიტინებს სუნი...
ფეთქვა თეთრი პეპლებისა,
ფრთის ცახცახი და გლასუნი.

გადაბმული ის წყვილები,
მარდი, ახლაც თვალწინ დაფრენს...
სხვა ჟონავდა ბალახს ჟინი,
გვაბრუებდა სხვა სიმძაფრე.

რაგინდ ვიშვიში არ მორთო,
მინდორს ისე ვიღა მორთავს...
გამწარებულს მწურავს წნეხი,
სულს მიწუხებს წასვლა ორთა.

## სახსოვარი

მისნობას ჰგავს, თითქოს მისმა
სახემ შემომაშუქა;
დღეს დავხედე საათს, გურამ
ფანჯიკიძის ნაჩუქარს.

ყველგან იწვი და ტრიალებ,
მახსენდება თუ რამო;
სოფლის იგავს ვერც მე ავხსნი,
კეთილო ძმავ, გურამო!

ამ წარღვნაში გადარჩენა
ზღაპარია, მითია...
ახლაც მიკვირს ცეცხლი შენი
რა მიწამ დაიტია?!

## მეგობრის მეუღლე

შროშანას, ტბისას, დამზერს იზისი –
და უმრწმესი ჩვენი, მიმოზა...
გახუნებული, უღარიბესი
დღეები ცისფრად მან შეგვიმოსა.

სიცოცხლე – ერთი ხელის დადება –
ფეთქავს პირისპირ ალესილ შუბთა.

სხვაა მის თვალთა შუქი, ნათება –
ჩხართვის თვალებზე კრიალა, სუფთა.

ვლოცავ სამზეოს – უცნაურ სიზმარს,
ჩაუქრობელო, გხედავ, ნიშანო...
მადლი მოგვფინოს სიკეთემ მისმა,
ღმერთო, იმედი არ მოგვიშალო!

## ოქროს წლები

ვიხსენებ ჭალა-ღელეში სირბილს,
ნაჩხვლეტ-ნაკაწრი ვიყავ ეკლითა;
ამწვარი წვივი, ჩაქცევა ტყირპის,
იდაყვიც ბევრჯერ გადამექლიტა.

სურნელი კეცზე დაკრული მჭადის.
ბებიას დახრილს ვხედავდი გობთან.
გარს ეხვეოდა ოცნება წადილს,
ვიჯექ ბლის ტოტზე... სხვას ის დრო ჯობდა.

## ნეტავ არ გამეგო

გულს, დაღლილს და დაღარულს,
მწუხარება აწევს;
რა უეცრად გამქრალა –
გოგი დემეტრაძე.

ავად სახსენებელი,
დამეძგერა მეხად;
მკერდი ჩემი, ჩახია,
ჩიხში გადამჩეხა.

ცეცხლმა დაგწვას, ლუსკუმის
და სიკვდილის ყუთო,
ხელებგაშლილს, მოღიმარს
ვიღას ჩავეხუტო.

საზარლად ყეფს არყოფნა,
შავი ლანდი დამდევს...
სადღა ვნახავ იმდენი
სიყვარულის დამტევს?!

## ცაში გაელვებული სურათები

(ვალერიან შიუკაშვილის კონცერტზე)

ვნახე როკვა, აწყვეტა
დატყვევებულ ბგერათა...
ფარდად გადმოშვებული
ღამე გამიფერადა.

კლდეზე შეხლილს, ჩამუხლულს
მინდოდა, შენც მეხილე...
ვალაგებდი ნიჟარებს –
ჭრელს, ზურგგადახეხილებს.

მკერდდაღარულ ნიაღვარს
სადღა გავეკიდები...
ასხლეტილი, კლავიშებს,
სად გარბიან თითები?!.

მწვანე კაბა გემოსა,
ვინ შეძლებდა შენოდენს...
ნეტა ასე ყვავილი
ფერდობს, მზიანს, შვენოდეს.

ცაში, ის მაშხალები
ვისმა ხელმა აზიდა?!
დარეტიანებული,
გამოველ დარბაზიდან.

## მეზღაპრის ფოტო

ხატავდა და ხედავდა –
წარმავალში მარადს...
ცოტა ვინმე თუ მიყვარს
ანდერსენის დარად.

კუზი მომწონს აქლემის
და სიჭრელე ზებრის;

ყველაფერს სჯობს ზღაპარი
მისი, ლექსისებრი.

დაბურული სიბერე
სანამდისაც გასტანს,
მინდა, მყუდრო ოთახის
ვიჯდე ფანჯარასთან.

## ღრუბლებში გაჩრილი არარატი

(ძველის გახსენება)

რისი სამოთხე, რა ოაზისი,
არ ვყოფილვარ და არც ვარ აზიზი...
ნახევი წარღვნისდროინდელ სიზმრის –
მინახავს სილუეტი მასისის.

წამომართულან ვეშაპ-დევებად,
რომელი ურდოს ლაშქარს შევება?!
ჩემი სამშობლოს ტკივილსაც ვამხელ –
მზარავს იმხელა მთის დატყვევება.

## სწორად მოიქეცით

ეძღვნება ჩემს ნამშლელებს

იმ დღეს ჩემზედაც მობრუნდა
ბორბალი ცათა, რისხვით,
შვიდივ მართალნი იყავით,
ხაზი რომ გადამისვით.

თქვენ-თქვენს სახლებში დაბრუნდით,
ტკბილს შეექეცით ვახშამს;
ჩემნაირ ბოთეს, უნიჭოს,
ქეც ეკუთვნოდა წაშლა.

ერთს ცალკე უნდა მივხედო,
კარგი სახელი ვერ აქვს;
ნამდვილად ჯილდო ერგება
თქვენს მეწინავეს – ვერაგს.

შავ ხმათა შეგროვებისა
მან იცის თადარიგი,
შესუდრულ შეფის ალაგას
წამოასკუპეს იგი.

მეტყვიან, რა ბევრს აჩმახებ,
ჩაძირულ-წანახდენი...
მუშტად შეკრულო „შვიდკაცავ“,
მადლობელი ვარ შენი!

## ორსული ქალბატონის დანახვაზე

(უნივერსიტეტის ბაღი)

ამ ქალს მართლა ეკუთვნის
გვირგვინი და ჯიღა;
ერთ ბავშვს დაასეირნებს,
ერთიც – მუცელში ჰყავს.

მხოლოდ ასე თუ შევძლებთ
დიდ სიკვდილთან შებმას;
გადარჩება მამული,
თუ მიბაძეს სხვებმაც.

## მარადისობის მთხოვნელი

„მარადისობას ბედნიერებასთან არავითარი კავშირი არა აქვს“
ციცერონი

„თუ ხარ ღვიძილი, რაღა არს ძილი“...
გურამიშვილი

გაბმულ უკვდავების ნაცვლად
მტოვებ სამუდამოდ ნაწყენს;
თუკი დაშლას მიპირებდი,
ხატად შენდა რად ამაწყვე?!

სისხლში მოთხვრილს, იქნებ მითხრა,
ბრიყვიც ხარ და თამამიცო;
საცოდაობაა, მეტიც,
ახლა მომკლა, დამამიწო –

მარცხიანი, დამანარცხო...
დამცინიან ურცხვად ცანი,
სად წავიღო, წამემწარა,
რაც რო სიმწრით შევიცანი.

ვიცი, ვერ-რა გადამარჩენს,
შუბლს თუ ცივად ეამბორე;
ცეცხლი მბუგავს, სამდურავი,
ჩემი, არ გეგონოს მდორე.

## სულის ამომხდელი

მოგაკვლიე, კვლავაც შენს
იმედზე ვარ, ლექსო!..
ასე უთქვამთ, ყოველგვარ
ნაღველს ის წალეკსო...

თავის მოკვლას განატრებს,
თუ გაგერიდაო;
ანგელოზის დარია –
სახით, ფერითაო.

გახლართულს ბნელ ბუნაგში,
ტვინი დამებანგა...
ბრალი, ვისაც დამართებ –
ბნედას, გულის კანკალს.

ქანცს რო მაცლი, შეგცვლის რა
განძი, რა საგანი?!
ნუ დამინდობ, არც ძილში
მომცე გასაქანი!..



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# კეისრის შვილიშვილი

## რუსეთის სახალხო არტისტი ალექსანდრ ბურდონსკი - იმის შესახებ, თუ რატომ არასოდეს დადგამს სპექტაკლს თავის ბაბუაზე, იოსებ სტალინზე

***ის უკანასკნელია სტალინის რუსეთში მცხოვრებ შვილიშვილთაგან. მაგრამ ეს ალექსანდრ ბურდონსკი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი თანამედროვე თეატრალური რეჟისორია, სამხატვრო თეატრის სკოლის დიდი ოსტატების – სტანისლავსკის, ნემიროვიჩის, მ.ო.კნებელის, ა.დ.პოპოვის „პირდაპირი მემკვიდრეა“. და ამ „წინაპრებით“ ის უფრო მეტად ამაყობს, ვიდრე სისხლისმიერი ბაბუით.***

***მართლაც, სტალინის ნათესაობამ მას და მის მახლობლებს ცხოვრებაში მოუტანა გაცილებით მეტი უბედურება და სირთულეები, ვიდრე ბედნიერება და წარმატება. მაშინაც, როდესაც სტალინი კერპი იყო, და მისი ჩამოგდების შემდეგაც, ახლაც, როდესაც თვალყურს ვადევნებთ მის ახალ აღზევებას. ცხოვრება სულ დაძლევებზეა აგებული. შემთხვევითი როდია, ალბათ, რომ დროის მიხედვით თავის უკანასკნელ, საუკეთესო სპექტაკლს „თოლიას“ რეჟისორმა წაუმძღვარა სიტყვები ძველი აღქმიდან: „ასეა, გვამიდან კი არ გამოდის ვარამი, და არც მიწიდან ამოდის უბედურება, მაგრამ ადამიანი იბადება ტანჯვაში, როგორც ნაპერწკალი, რომ მაღლისკენ მიისწრაფვოდეს“.***

***„ხალხთა ბელადის“ გარდაცვალებიდან 60 წლისთავის წინ ალექსანდრ ბურდონსკი უამბობს ლეონიდ ველეხოვს, ვისთანაც მას მრავალწლიანი მეგობრობა აკავშირებს, თავისი სიცოცხლის შესახებ „გველის თანავარსკვლავედის“ (ასე განსაზღვრა ოდესღაც ანა ახმატოვამ რუსეთის ცხოვრება სტალინის ეგიდით), ბაბუასთან რთული დამოკიდებულების, თავისი მამის ტრაგიკული ბედის – ჯერ ბედის ნებიერის, შემდეგ კი მისი მსხვერპლის – გენერალ ვასილი სტალინის შესახებ.***

**– სტალინის ნაშიერთაგან შენ, მგონი, ერთადერთი ხარ, ვინც ჩამოიბერტყა ფეხებიდან მისი დიდების მტვერი და ამის წყალობით ადგილი მოიპოვა ცხოვრებაშიც და პროფესიაშიც. სტალინის დანარჩენ შვილებსა და შვილიშვილებს მთელი ცხოვრება თრგუნავდა აჩრდილი – ჰამლეტის მამის აჩრდილის ერთგვარად საპირისპირო რამ...**

– არა, ვერ დაგეთანხმები. სვეტლანას ვაჟიშვილი იოსები წელგამართულია პროფესიაში, გახდა დიდი კარდიოლოგი. ვფიქრობ, იაკობის ქალიშვილის გალიას შემოქმედებითი ბედიც წარმატებული იყო, ის მუშაობდა აზიისა და აფრიკის ლიტერატურაზე, უამრავი სტატია გამოაქვეყნა ამ თემებზე. ნორმალურად აეწყო სვეტლანას ქალიშვილის კატიას ცხოვრებაც: დაამთავრა უნივერსტეტი, გახდა ვულკანოლოგი, არ ისურვა მოსკოვში ცხოვრება, ქმართან ერთად შორეულ აღმოსავლეთში წავიდა. ჩემმა დამ ნადიამ, რომელიც, შეიძლება ყველაზე მეტად იყო ტრავმირებული ჩვენი ოჯახის ისტორიით, არ მოინდომა, შეეცვალა გვარი, მიაჩნდა, რომ უნდა ზიდოს თავისი ჯვარი. მიუხედავად ამისა, ბედნიერი აღმოჩნდა თავის საოჯახო ცხოვრებაში. ალბათ, ერთადერთი ჩვენგანი. საერთოდ, ყველაფერი რთულად იყო ჩვენ ჯიშში, თუმცა არც ისე უიღბლოდ...

**– კარგი რა დაგიტოვათ სტალინმა „მემკვიდრეობით“?**

– ტვინი. მატერიალურად – არაფერი. აი, ტვინი კი ყველას გვყოფნის. და კიდევ, ალბათ, – თავმდაბლობა. არავის არასოდეს უცდია რომელიმე ელიტაში შეძვრომა. და არც პოლიტიკაში ჩართულა.

**– გარემოცვაში შენი ნათესაობა გეხმარებოდა თუ ხელს გიშლიდა?**

– მე ხომ თავად მეტად გულჩათხრობილი და დახშული კაცი ვარ. მაგრამ როდესაც თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტში მივედი, მარია კნებელის ხელში აღმოვჩნდი, ვინც უდიდესი ჯადოქარი იყო, რათა გავეთავისუფლებინე საკუთარი გარსიდან... ხომ გახსოვს, მიქელანჯელოს აქვს: „მე ჩემივე თავის თავმდაბალ მოდელად დავიბადე, რომ კვლავ წარმოვჩენილიყავი უფრო სრულფასოვან ქმნილებად“? აი, ქალბატონ მარიას ეს შეეძლო. ჩემთან დაკავშირებით ეს მეტად რთული იყო, მან კი ეს შეძლო. პირველი კურსის ბოლოსთვის გავხდი თავისუფალი და კონტაქტორი, როგორიც ადრე არასოდეს ვყოფილვარ. ისეთი შეგრძნება მქონდა, ძლიერად რომ დამეკრა ფეხი მიწისთვის, აფრენაც შემეძლო. ქალბატონი მარია მართლა მეორე დედა გახდა ჩემთვის, ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ადამიანი ჩემ ცხოვრებაში...

**– ყველაფერი ხომ იქ დაიწყო შესანიშნავი ისტორიით ინსტიტუტში შესვლის დროს?**

– კი, როდესაც შევდიოდი, მას ყველა მხრიდან ჩასჩურჩულებდნენ: „ეს სტალინის შვილიშვილია, სტალინის შვილიშვილი..“ ის შემდეგ მიყვებოდა ხოლმე: „როდესაც მისაღებ გამოცდაზე იჯექით, ელოდებოდით თქვენს რიგს, გიყურებდით და ვფიქრობდი, რომ აი, იქნებ დადგა შურისძიების დრო ბანაკში დაღუპული ძმის გამო. შემდეგ თქვენ გამოხვედით, დაიწყეთ კითხვა, ერთ მომენტში თვალიდან ცრემლი წამოგივიდათ... და თქვენი გამოსვლის ბოლოსთვის ერთი სურვილი მქონდა – მოვსულიყავი თქვენთან და თავზე ხელი გადამესვა...“

**– შენ თქვი, რომ სტალინთან ნათესაობისგან მემკვიდრეობით მხოლოდ ტვინი გხვდა. აი, ძალის, გარშემო მყოფებზე მაგიური ზემოქმედების რაიმე შეგრძნება არასოდეს გქონია?**

– რას ამბობ. უფრო, პირიქით. ერთხელ, ეს იყო 1980-იანი წლების ბოლოს, ჩვენს თეატრში „გულაგის“ ყოფილი ტუსაღები შეიკრიბნენ. დარბაზი სავსე იყო. არ მახსოვს, იყო ეს ღონისძიება საზოგადოება „მემორიალის“ ეგიდით, თუ „მემორიალი“ მაშინ საერთოდ არ არსებობდა, თუმცა ამას არც აქვს მნიშვნელობა. მათ სთხოვეს ჩვენს ვარსკვლავებს ლიუდმილა კასატკინასა და ნინა საზონოვას მისულიყვნენ მათთან. მეც მთხოვეს. მითხრეს, რომ იციან – თეატრში მუშაობს სტალინის შვილიშვილი, მთხოვენ მისვლას. გული შემეკუმშა, გადავწყვიტე არ მივსულიყავი არავითარ შემთხვევაში: რა უნდა ვუთხრა? მაგრამ ძალიან მთხოვდნენ. და მაინც წავედი. ისინი გარს შემომეხვივნენ და მეუბნებოდნენ: ჩვენ გთხოვდით, რომ მოსულიყავით, რათა გვეთქვა თქვენთვის – თქვენ არაფერში ხართ დამნაშავე და მშვიდად უნდა იცხოვროთ. მე გაოგნებული დავრჩი, და ეს ჩემს ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება.

**– მინდა დავუბრუნდეთ შენი ბავშვობის მოგონებებს. როგორ მოხდა, რომ ვაშლი ვაშლის ხისგან ასე შორს გადავარდა? მამაშენს ვინ უნდოდა, რომ გამოსულიყავი?**

– მამაჩემი, განსაკუთრებით სტალინის ცხოვრების უკანასკნელ წლებში, როდესაც ის გამოაგდო ყველა პოსტიდან და აიძულა წასულიყო აკადემიაში სასწავლებლად, კონფლიქტში იყო ყველასთან. ჩემთვის არც ეცალა. თუ მას ჩემგან რაიმე უნდოდა, მხოლოდ ის, რომ მეც სამხედრო გამოვსულიყავი. ან სპორტსმენი. 1951 წელს სუვოროვის სასწავლებელში გამგზავნა...

**– ... მთავარია, რომ გაგგზავნა, თუ არ ვცდები, სასჯელის სახით, რადგან შეხვდი დედაშენს, ვის ნახვასაც გიკრძალავდა მას შემდეგ, რაც ის თქვენგან წავიდა, მალე ომის დამთავრებიდან...**







– კი, სწორედ ასე იყო. ჯერ მიმტყეპა კიდეც, შემდეგ კალინინში გამგზავნა, სასწავლებელში. თან მითხრა: „შენ, ალექსანდრ ვასილის ძევ, ეს სახელი სუვოროვის პატივსაცემად დაგარქვეს, და იქნები სამხედრო!“ თუმცა, ეს წმინდა სიცრუე იყო, ეს სახელი დედის მამის პატივსაცემად დამარქვეს. ჩემთვის სამხედრო საქმე არა მხოლოდ საწინააღმდეგოდ მაჩვენებელი იყო, არამედ სრულიად უცხო, ჩემთვის გაურკვეველი სამყარო. აგარაკზე კომენდანტი გვყავდა – ნიკოლაი ევსეევი. მას ძალიან უყვარდა მიწა, ყოველივე ცოცხალი და მისი წყალობით ვიცოდი ყველა მცენარის, ყვავილის, ბალახის სახელი და ეს მართლაც მიტაცებდა. ვფიქრობდი, რომ ბოტანიკოსი ვიქნებოდი – სანამ დიდ თეატრში – ულანოვა არ ვნახე „რომეო და ჯულიეტაში“, შემდეგ საბჭოთა არმიის თეატრში ზელდინი „ცეკვების მასწავლებელში“. თეატრში მე ვნახე ის, რაც ასე მაკლდა ცხოვრებაში უდედოდ – სილამაზე, რომანტიკა, ადამიანური ნაზი გრძნობები. აქ ჩემი ტვინი თეატრისკენ „შემოტრიალდა“. და დავიწყე სავსებით თეატრალური მოქმედებები. სწორედ მაშინ წავიკითხე გარინ-მიხაილოვსკის „ტიომას ბავშვობა“ და პირველი, რაც გავაკეთე, ეს იყო: მოვიკიდე ზურგჩანთა, გავრანდე ჯოხი, ჩამოვკიდე მასზე ფეხსაცმელები და წავედი დაცული აგარაკიდან. მინდოდა მოვქცეულიყავი ისე, როგორც ტიომა, დამეწყო დამოუკიდებელი ცხოვრება. მილიციის პოსტმა უკვე გზატკეცილზე დამიჭირა. ამისთვის, რა თქმა უნდა, კარგად მომხვდა. მაგრამ სწორედ მაშინ გავაკეთე ჩემი ცხოვრებისეული არჩევანი თეატრის სასარგებლოდ.

**– ასე რომ, მამასთან სულაც არ გქონია შინაგანი კონტაქტი?**

– არა, შენ ეს იცი. მამა არ მიყვარდა. მე დედა მიყვარდა. არ შემეძლო მეპატიებინა მისთვის, რომ დედას რვა წლით ჩამომაშორა, დაამახინჯა დედის ცხოვრება, ჩვენ კი ბავშვობა წაგვართვა. მამის მეშინოდა. ხოლო როდესაც 1961 წელს ის ციხიდან გამოუშვეს, მე უკვე ზრდასრული ვიყავი და, რასაკვირველია, მისი აღარ მეშინოდა. მაგრამ ის თანდათან უფრო და უფრო მეცოდებოდა. რაც წლები მემატებოდა, მით მეტად მეცოდებოდა. ვინაიდან ის, უეჭველია, ნიჭიერი, მამაცი კაცი იყო, რომელსაც ჰქონდა კარგი შინაგანი მუხტები. და რვა წელიწადმა, რაც მან ციხეში გაატარა თავისი ცოდვების საფასურად, გატეხა ის ფიზიკურადაც და ფსიქიკურადაც, დაანგრია მისი ქარიზმაც. ის, უეჭველია, იყო კაცი ქარიზმით და გატყდა კიდეც... მისი პიროვნების ნეგრევა დაასრულა სპექტაკლმა, ხრუშჩოვმა რომ გამართა კრემლში, როდესაც მამაჩამი ციხიდან გამოვიდა. ის მას ეხვეოდა, ქვითინებდა, უძახდა „შვილოო...“

**– ეს ყველაფერი იყო, ეს არ ყოფილა აპოკრიფი?**

– იყო, იყო... შემდეგ ის ყაზანში გაასახლა. და ამ პერიოდში მას არანაირი გავლენის მოხდენა არ შეეძლო ჩემზე. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, მე უფრო მეტი გავლენის მოხდენა შემეძლო მასზე. მაგრამ ახლა ის მე ცოტა მერიდებოდა კიდეც ხოლმე, როდესაც ხედავდა, რომ სხვა გავხდი. მე მისადმი მხოლოდ საცოდაობის გრძნობა მქონდა.

**– ხუთი წლის წინათ შენ მე ტელეეთერში მითხარი გამაოგნებელი ფრაზა: რომ დღეს შენ მას უყურებ არა როგორც მამას, არამედ უფრო როგორც შვილს...**

– კი, ეს ასეა. ის ხომ ორმოცდაერთი წლისა გარდაიცვალა. და რაც მასზე უფრო უფროსი ვხდებოდი, მით ჩემში მეტად ძლიერდებოდა შეგრძნება, რომ ის ჩემი შვილი იყო... რატომ არასოდეს მინდოდა, რომ მყოლოდა შვილები? იმიტომ, რომ მე თავად მქონდა ისეთი ბავშვობა, როგორსაც არავის ვუსურვებდი. მე მას დიდხანს ვიხსენებდი სწორედ, მაგრამ, შენ ეს იცი, შემდეგ ის მე სხვაგვარად შევიცანი და ვთქვი: „გმადლობთ, უფალო, რომ მომიწყვე გამოცდა, რომელმაც საშუალება მომცა არ გავზრდილიყავი ადამიანად, რომელსაც მიაჩნდა, რომ მას რაღაცის განსაკუთრებული უფლება და ნება ჰქონდა მისი გვარის გამო“...

**– და, მიუხედავად ამისა: ბავშვობაში შენ თავს გრძნობდი სტალინის შვილიშვილად? რაც უნდა იყოს, სისხლი სისხლია, დიდი საქმეა...**

– არასოდეს. სრულიადაც არა იმიტომ, რომ მე ვიყავი ასეთი და ასეთი, მეტად სწორად აღზრდილი. მე ეს უბრალოდ არ მესმოდა. რამდენიმე წლის წინათ იტალიაში ჩავედი „მასტერ კლასის“ ჩასატარებლად პერუჯაში. მოვეწყვე სასტუმროში, გამოვედი მთავარ ქუჩაზე სასეირნოდ. ვბრუნდები და მეუბნებიან: „თქვენ გიცნეს! ყველამ უმალვე გაიგო, რომ ეს თქვენ იყავით...“ თუმცა ქალაქში არავინ იცოდა, რომ იქ ჩავდიოდი, დიდი ამბავი, დიდი ვინმე ჩამოვიდა! მეორე დღეს უკვე აღარ შემეძლო სასტუმროდან გამოსვლა: შემოსასვლელში უამრავი ხალხი იყო, და რესტორნიდან, სამზარეულოდან გამოვყავდი. ვკითხულობ, რატომაა ასეთი აჟიოტაჟი? სტალინის გამო? მილიონერმა, ვინც მიმიწვია, მითხრა: „დიახ, როგორ არ გესმით: ეს ყველაფერი ისეა, როგორც იქნებოდა, აქ რომ კეისრის შვილიშვილი ჩამოსულიყო!“

**– შესანიშნავი ასოციაციაა, მხოლოდ იტალიელს შეუძლია ეს...**

– თუმცა, როგორც ეს შენც იცი, ვინც მე მიცნობს, მე კეისრის არანაირ შვილიშვილს არ წარმოვაჩენ ხოლმე. მაგრამ, რასაკვირველია, „კაზანოვას ეს წამოსასხამი“ მუდმივად გახსენებს თავს თავისი „შრიალით“. დღე არ გადის, რომ ცენტრალური გაზეთებიდან არ გაისმოდეს სტალინის სახელი. მე ყოველივე ამას ვივიწყებ მხოლოდ მაშინ, როდესაც ვზივარ რეპეტიციებზე ან მივდივარ სახლში და ვკეტავ კარს. მაგრამ აბსოლუტურად გულწრფელად ვამბობ, დედაჩემის ხსოვნას გეფიცები: კლაასის ფერფლი ჩემს გულში არ ფეთქავს. არასოდეს ვყოფილვარ სტალინის თაყვანისმცემელი, მე სრულიად სხვა კერპები მყავს: სტალინსლავსკი, ნემიროვიჩი, მეიერხოლდი, ვახტანგოვი, დუზე, კომისარჟევსკაია... მე ბევრი ღვთაება მყავს, ვიზეც ვლოცულობ, მათ შორის სტალინი არაა. ახალგაზრდობაში ის სულაც არ მიყვარდა, რაც ჩემი ტემპერამენტის პატრონს აქტიური უარყოფის ფორმას უჩენდა და დედაჩემი და მე ამის გამო ვდავობდით. წლებმა და ადამიანებმა მასწავლეს ვუყურო ბევრ რამეს, მათ შორის სტალინსაც, უფრო მშვიდად და ფილოსოფიურად.

**– ესე იგი, შენ დაიწყე მისი გამართლება?**

– არა. მაგრამ უკვე მესმის, რომ ის იყო ადამიანი, რომელიც დამოკიდებულია უამრავ ვითარებაზე.

**– შენ ხომ ის მხოლოდ კუბოში ნახე?**

– კი. და ორჯერ აღლუმებზე – მაისისა და ნოემბრისა.

**– დაკრძალვის დროს შენ პირდაპირ კუბოსთან იჯექი, სკამზე?**

– სკამზე. ის რომ გარდაიცვალა, კალინინში ვიყავი, სწორედ სუვოროვის იმ სასწავლებელში. ჩემთან ორი სამხედრო ბიძია ჩამოვიდა, ჩამსვეს ცარიელ „დუგლასში“, წამიყვანეს მოსკოვში, და სახლში მიუსვლელად, ისე რომ არც საჭმელი უჭმევიათ, არც წყალი დაულევინებიათ, შემიყვანეს სვეტებიან დარბაზში, ხელჩაკიდებული გამიყვანეს სცენაზე და დამსვეს სკამზე. უამრავი ადამიანი დავინახე, რომლებიც ჩემ წინ მიდიოდნენ ტირილითა და კვნესით, მკერდზე მუშტების ცემით. მე სტალინს არც ვუყურებდი – იქ ვიღაც იწვა ყვავილებში... ვუყურებდი ამ ხალხს და თავში მხოლოდ ერთი რამე მიტრიალებდა: ყველა ტირის, მე კი – არა..

**– სცენა „ბორის გოდუნოვიდან“...**

– ეგრეა. გულახდილად რომ ვთქვა, უბრალოდ შეშინებული ვიყავი და არ მესმოდა, თუ რა ხდებოდა. მაშინ თერთმეტი წლის ვიყავი. რომ მცოდნოდა, ალბათ, მეც ვიტირებდი...

**– გჯერა ვერსიისა, რომ ის თანამებრძოლებმა მოკლეს?**

– ყველაფერი შეიძლება, ჩვენ რუსეთში ვცხოვრობთ.

**– სიზმარში თუ გინახავს როდისმე იგი?**

– არა, არასოდეს.

**– მამასთან, ციხიდან მისი დაბრუნების შემდეგ სტალინზე საუბრობდით ხოლმე?**

– არა. მე ამ საუბრებს გავურბოდი ხოლმე. დედაჩემიც. სხვათა შორის, როდესაც გათავისუფლების შემდეგ ის მოვიდა ჩვენთან მოსკოვის ბინაში, დედაჩემი მის საზოგადოებაში მხოლოდ ერთი დღე იყო. როდესაც მამაჩემმა დაიწყო საუბარი იმის შესახებ, რომ „ბავშვების გულისთვის“ კვლავ ერთად უნდა იცხოვრონ, დედაჩემი ბებიასთან წავიდა. მას, ეტყობა, გულიც კი გაუჩერდა, როდესაც მამაჩემმა თავისი წინადადება შესთავაზა. იქ, ბებიას მან უთხრა: „არასოდეს. მირჩევნია ვიყო ვეფხვთან გალიაში“.

**– მას მამაშენი უყვარდა?**

– მისი სიცოცხლის ბოლო წლებში მე და ის ამაზე ვლაპარაკობდით. უეცრად მან მითხრა: „იცი, ყველაფერი რომ თავიდან დავიწყოთ, მე ის კვლავ შემიყვარდებოდა და გავყვებოდი ცოლად“. მე ვუთხარი: „როგორ? მის გამო ოცდახუთი წლისას მთელი ცხოვრება გაგიუკულმართდა!“ მან მიპასხა: „და მაინც ყველაფერს გავიმეორებდი...“ შევეკითხე: „ისე ძალიან გიყვარდა?“ მან მიპასუხა: „ის მე ახლაც მიყვარს“.

იხ. 9 გვ.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „ცხვრების“ მბრძანებელი

## საქართველოში, როგორც იქნა, გაიგეს: რუსეთი კოსმოსში არ გაფრინდება

**ისეთი შეგრძნებაა, რომ „ახალი ქვეყნის“ სააკაშვილის მიერ სიყვარულით მოოქროვილი შენობის ფასადი ჩამოიშალა. და შოკში ჩავარდნილმა მომსვლელებმა იხილეს: შიგნით მხოლოდ ნაფშვენებია.**

— ეს შესანიშნავია, რომ შევურიგდებით რუსეთს! იცი? მიშიკო, უბრალოდ, არამზადაა! რა საჭიროა ასეთი რამეები, მითხარი ერთი? ის შეურაცხყოფას აყენებდა რუსებს, თავხედურად ეპყრობოდა, ამერიკას კი მლიქვნელურად ელაქუცებოდა... ამერიკელებს ქართველები ისევ სჭირდებიან, როგორც ძაღლს მეხუთე თათი! ნახე ჯორჯ ბუშის ქუჩა, აეროპორტიდან რომ მოდიოდი? გადაარქვან, ბოლოს და ბოლოს, მას სახელი, რა ჯანდაბაში გვჭირდება!

— ჰმ... ბატონო, თქვენ თავად ადრე ვის მიეცით ხმა?

— (ოხრავს) დიახ, სააკაშვილს, რას იზამ... საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ის ასეთი ტუტუცი იქნებოდა?

როგორც ტაქსისტი მერაბი, რომელსაც რუსთაველის პროსპექტზე მოვყავდი, მთელი საქართველოც კაპიტალურადაა გაწბილებული. ნახევარი წლის წინათ სააკაშვილის პარტიას ამომრჩეველთა 40 პროცენტმა მისცა ხმა (55 პროცენტმა მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის ბლოკ „ქართულ ოცნებას“), ახლა კი პრეზიდენტის რეიტინგი ნულისკენ მიექანება. ქართველები საუბარში ექს-საყვარელს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავენ, მის მომხრეებს კი „ცხვრებს“ უწოდებენ. მიშიკოს უხსენებენ ერთბაშად ყველაფერს — წარუმატებელ ომსაც რუსეთთან („განა არ იცოდა, რომ დედას გვიტირებდნენ?“), მასშტაბურ მშენებლობებსაც („უამრავი ძვირადღირებული პროექტი, ეკონომიკა მოიშალა!“), წარმატებებსაც კი... კორუფციასთან ბრძოლაში („წვრილ-წვრილებს ციხეში სვამდნენ, მინისტრები კი მილიარდებს ქაფავდნენ!“). ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ „ახალი“ საქართველოს, რომელიც სიყვარულით ააშენა სააკაშვილმა, ფასადი უეცრად ჩამოიშალა. და შოკში ჩაცვენილმა გამვლელებმა იხილეს: შიგნით მხოლოდ ნაფშვენებია.


პრეზიდენტის სასახლის მშენებლობა მილიარდ დოლარად და ფუტურისტული შენობები თბილისის ცენტრში — ეს არის დეკორაციების ნაწილი პიარ-სახელმწიფოსი, როგორიც უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში იყო საქართველო.

### „იხმარეს, როგორც ქალიშვილი“

**— პატიოსანი პოლიცია? — მხრებს იჩეჩავს ბანკის კლერკი შოთა ავალიანი. — თბილისში შეიძლება ყველაფერი წესრიგში იყო. მე თავად თელაველი ვარ — ჩვენთან მენტები აღიარებებს წამებით იღებდნენ. შემდეგ მათ აძლევდნენ პრემიებს დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლისთვის. საქართველოში პოლიციის განყოფილებები მინისგანაა აშენებული, როგორც ხელისუფლების გამჭვირვალობის სიმბოლო. მერე რა? პატიმრები შეჰყავდათ ტუალეტში და იქ ცემდნენ თავგამეტებით. არ უარვყოფ — დასაწყისში სააკაშვილი კარგ რეფორმებს ახორციელებდა. მაგრამ მალე საქართველო პრეზიდენტისა და მისი მეგობრების საკვებ ბაგად იქცა. დემოკრატიას აქ მხოლოდ სტუმრები ხედავდნენ ამერიკის შეერთებული შტატებიდან.**

საქართველოს მოსახლეობა ნაწყენია ამერიკელებზე არანაკლებად, ვიდრე მიშიკოზე. „ისინი ჩვენ გვიყენებდნენ, — პირქუშად მიყვება ხანდაზმული ქალბატონი, რომელიც თბილისის დეზერტირის ბაზარზე ჩურჩხელებს ყიდდა, — როგორც ქალიშვილს — გვპირდებოდნენ ცოლად თხოვას, ქორწილის წინ კი გარბოდნენ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ბევრი ქართველი დარწმუნებული იყო: ქართველები პროამერიკული პოლიტიკისთვის ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიიღებენ უნიკალურ სიკეთესა და პრივილეგიებს. ამერიკელებს სხვა აზრი ჰქონდათ, იფარგლებოდნენ მხოლოდ საქებარი სიტყვებით. მათ უარი თქვეს ეყიდათ ქართველ მევენახთა პროდუქცია, უბრალოდ ფულს არ გვჩუქნიდნენ. არ გამოუგზავნიათ არც ერთი ჯარისკაცი, როდესაც რუსეთის ტანკებმა გაანადგურეს სააკაშვილის არმია, მიადგნენ თბილისის საზღვრებს. „ბუშს უნდოდა ჩვენთან მოეწყო ბაზა ირანთან ომისთვის, — ჩაფიქრებული მეუბნება გამყიდველი (საქართველოში ნებისმიერი ადამიანი ექსპერტია საერთაშორისო პოლიტიკაში). — ხოლო როდესაც ბრძოლა გადაიფიქრეს, აღარც ქართველები სჭირდებოდათ“,

... სააკაშვილის ხელისუფლების კიდევ ერთი სიმბოლო — თბილისში საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი — ცარიელია, თავი უდაბნოში გეგონება. ექსკურსიამძღოლი მანანა ოხრავს: მომსვლელები ძალიან ცოტაა, ხანდახან ტურისტები თუ შემოიხედავენ ევროპიდან. სხვათა შორის, მას არ აღელვებს, თუ ჩვენი ურთიერთობის „დათბობის“ ფარგლებში დახურავენ მუზეუმს: „მთავარია, რომ გააუქმონ ვიზები რუსეთთან — მაშინ წავალ სამუშაოდ დასთან ეკატერინბურგში“. როგორც მანანას მიაჩნია, სააკაშვილი ძალასა და სახსრებს არ იშურებდა, რომ როგორმე გაეღიზიანებინა რუსეთი: „რა საჭირო იყო ეს? სსრ კავშირის დაშლიდან 22 წლის შემდეგ ჩვენ, როგორც იქნა, შევიგნეთ: რუსეთი არ გაფრინდება კოსმოსში. საქართველოს არ მიიღებენ ამერიკის შეერთებული შტატების შემადგენლობაში. ამიტომ ჩვენ კვლავ უნდა ვისწავლოთ რუსული კულტურის სიყვარული, თქვენ კი — ქართული ღვინის ყლაპვით ტკბობა“.

### პოლიტიკოსები სანარცხეზე

**— ეს ძალიან ძნელი იქნება, — იცინის ბიზნესმენი არმენ კარმარიანი, ვისი ფირმაც სპეციალიზებულია ხვანჭკარისა და ქინძმარაულის გაყიდვაზე. — კი, ახლა ქართული ღვინო საუკეთესო ხარისხისაა. მაგრამ ბოთლი 400-700 რუბლი ღირს და, მაშასადამე, რუსეთის მაღაზიებში ავტომატურად გაძვირდება ორჯერ. ვინ იყიდის ასეთ ფასად სხვა ღვინოების კონკურენციის პირობებში? მიშიკომ სისულელე ჩაიდინა, როდესაც თქვენი ბაზარი დაკარგა და, როგორც ჩანს, სამუდამოდ. მე ამას ვამბობ, მაგრამ არავინ მისმენს. ყველას ჰგონია: რახან შევრიგდით რუსებთან, ეკონომიკა აყვავდება, როგორც საამიროებში. ხალხი აქ სასწაულებს აღმერთებს.**

ეს ასეა. სასწაულებისადმი სწორედ ქართულმა სიყვარულმა მისცა სააკაშვილს საშუალება იყოს ტალღის თავზე ამდენი წლის განმავლობაში. შევარდნაძის კლანის ხელისუფლების შემდეგ ომით, მექრთამეობით, ქალაქების ნგრევითა და მხეცური კრიმინალით შეწუხებული ხალხი უმზერდა ახალ გზებს, რესტავრირებულ ქუჩებს, გაჩირაღდნებულ ეკლესიებს და უხაროდა — რა კარგი გახდა. ახლა ყველა გაცბუნებულია: თურმე, ფული საქართველოს დამშვენებისთვის ციდან არა ცვიოდა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საგარეო ვალი გაიზარდა 3-ჯერ და ქვეყნის საშინაო მთლიანი პროდუქტის 31 პროცენტი შეადგინა. ქალაქებმა, სადაც პომპეზური მშენებლობები მიმდინარეობდა, ისეთებმა, როგორებიცაა ბათუმი და სიღნაღი, არჩევნებზე მკაცრად „გააცურეს“ პრეზიდენტის პარტია. „მომბეზრდა სამშენებლო მოედანზე ცხოვრება, — ბოლმით აღიარებს ბათუმელი 42 წლის ავთანდილი. — რა საჭიროა ამდენი სასტუმროს შტამპვა, თუ მათში ტურისტები არ იქნებიან? ფასები უზარმაზარია, დამსვენებლები კერძო სექტორში ჩერდებიან. სააკაშვილის მინისტრები პროცენტებს იწყობდნენ ჯიბეში ყოველი დიდი ობიექტიდან. სწორედ ამიტომ ყვაოდა სამშენებლო ბუმი“.

... გორში, ქალაქში, რომელიც სამხრეთ ოსეთს ესაზღვრება, რესტავრირებულია მხოლოდ სტალინის პროსპექტი. საკმარისია ოდნავ გვერდზე გადაუხვიო, და შიშველი კედლებიდან ცვივა ბათქაში, ხალხი სახლებში ქურთუკებში სხედან — სადაა გათბობა? „როგორ შეძლეს ქართველებმა დემოკრატი სააკაშვილი ოლიგარქ ივანიშვილით შეეცვალათ?“— მეკითხება პოლონელი ჟურნალისტი. „შენ ვერ გაიგებ“, — ვუპასუხე. 2004 წლიდან საქართველო დეკორატიული პიარ-სახელმწიფო, წმინდა „პოტიომკინის სოფელი“ იყო. ჩინოვნიკებს უყვარდათ, ეტარებინათ უცხოელი ჟურნალისტები ლამაზი ქუჩებით, თან ხაზგასმით ეუბნებოდნენ: აქ ყველა სამოთხეში იცხოვრებდა, რომ არა ბოროტი რუსეთი. მაგრამ უცხოელები არჩევნებში არ მონაწილეობდნენ, თავად ქართველებს კი გაუთავებელი მითითება „ჩრდილოელ მტერზე“ მობეზრდათ მწარე ბოლოკზე მეტად. „კარგია თუ არა ბიძინა? — კეფას იფხანს ტაქსისტი მერაბი. — მე უკვე აღარ ვიცი. საქართველოში „ახალ“ პოლიტიკოსს ყოველთვის ხმას მოსახლეობის 99 პროცენტი აძლევს, შემდეგ ჩვენ ასევე ერთხმად ვისვრით მათ სანარცხეზე“.

ექს სსრ კავშირში ერთ-ერთი ყველაზე ანტირუსული პრეზიდენტის ერა მთავრდება: შემოდგომაზე სააკაშვილი გადადგება, ხელისუფლებაში მისი მოწინააღმდეგეები მოვლენ. შეიკავებს თავს ივანიშვილი ცდუნებისგან, პირველსავე წარუმატებლობის შემთხვევაში ყველაფერში ბრალი რუსეთს დასდოს? მალე ჩვენ ამას დავინახავთ.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

**გიორგი ზოტოვი,**
**გორი-თბილისი**

## დედამიწის ზურგზე



### დიდ ბრიტანეთში ციხეში ჩასვეს ტერორისტები, რომლებიც გეგმავდნენ სამხედრო ბაზის აფეთქებას სათამაშო მანქანით

**ინსტრუქცია მანქანა-ბომბის დამზადებაზე მათ ამოიღეს ალ-ქაიდას ჟურნალიდან, სადაც ასევე გამოქვეყნებულია სახელმძღვანელო ისეთი ბომბების შექმნისთვის, რომლებიც გამოიყენეს ბოსტონის მარათონის დროს. მთლიანად ტერორისტებს, რომელთაგანაც უმცროსი მხოლოდ 22 წლისაა, 44 წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.**

### „გვეგონა, ჩრდილოეთ კორეამ დაიწყო ჩვენი დაბომბვა“. ტეხასში აფეთქების შედეგები ჰაერიდან გადაიღეს

**ხელისუფლებამ დაადასტურა 14 კაცის დაღუპვა, ნანგრევების დამუშავება გრძელდება, თუმცა ვინმეს ცოცხლად ნახვა მეტად საეჭვოა. „ისეთი შეგრძნება იყო, თითქოს აქ ატომური ბომბი აფეთქდაო“, — აღიარა მერმა. თავად ქარხნის ტერიტორიაზე შესვლა მაშველებმა ვერ შეძლეს. საწარმოს მეპატრონეები აგრძელებენ დაკითხვას და ამოწმებენ უსაფრთხოების წესების დარღვევის ვერსიას.**

### ვენესუელის ოპოზიციას უარი უთხრეს არჩევნების შედეგების გადასინჯვაზე - იქნება „სამოქალაქო აუდიტი“

**არჩევნების დღეს შეამოწმეს საარჩევნო ყუთების 54 პროცენტი ქვითრებით. ახლა ეროვნული საარჩევნო საბჭო შეამოწმებს დანარჩენ 46 პროცენტს. ამ დროს გამოცხადებული გამარჯვებული მადუროს ინაუგურაციაზე უკვე ჩამოვიდნენ სტუმრები.**

### ნატო მოსკოვთან ერთად საიდუმლოდ განიხილავს ავღანეთიდან ჯარების გამოყვანას საბჭოთა სცენარით

**მიმართვის საიდუმლოება წყაროებმა განმარტეს იმით, რომ ნატოს არ სურს, გაავლოს პარალელი ავღანეთში საბჭოთა კონტინგენტის ყოფნასა და საკუთარ სამშვიდობო მისიას შორის. ნატოს ოფიციალური წარმომადგენლები არა მხოლოდ არ უკეთებენ აფიშირებას, მიმართონ საბჭოთა გამოცდილებას, არამედ საჯაროდ მისგან დისტანცირებასაც კი ცდილობენ.**



### პაკისტანის სასამართლოდან გაქცეული ექსპრეზიდენტი დაბრუნდა და იგი დააპატიმრეს

**მუშარაფს ბრალს სდებენ პროვინცია ბელუჯისტანის ნაციონალისტების ლიდერის აკბარ ბუგტის მკვლელობაში (2006 წელი), ექსპრემიერ ბენაზირ ფხუტოს (2007 წელი) მკვლელობასა და უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეთა უკანონო დაპატიმრებაში (ასევე 2007 წელი), რის საფუძველზეც სასამართლომ არ მისცა მას ნება, მიიღოს მონაწილეობა პარლამენტის არჩევნებში.**

### აფეთქებები და სროლები ბოსტონში: ერთი ტერორისტი მოკლეს

**აღმოაჩინეს ასეფეთქებელი ნივთიერება და სწრაფსახარში — სწორედ სწრაფსახარში, რომელშიც ჩადებულია დენთი და გამანადგურებელი ელემენტები, გამოიყენეს დამნაშავეებმა ბოსტონის მარათონის ფინიშზე. მეორე ეჭვმიტანილი იმალება უოტერტაუმში, სადაც წინა დღით მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ტერიტორიაზე მოკლეს პოლიციელი.**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# კეისრის შვილიშვილი

(მეშვიდე გვერდიდან)

**— მამაშენს უყვარდა იგი?**

— ვფიქრობ, რომ კი. არ მინდა დედის იდეალიზაცია, ის რთული ადამიანი იყო. მაგრამ ის ცხოვრობდა სიყვარულით, ეს მისთვის იყო მთავარი. სტალინური „ეზოს“ მანქანები, ქურქები, აგარაკები, ინტრიგები — ეს ყოველივე სულ არ აინტერესებდა. დიდი ბელადის რძლად წარმოჩინება მისთვის აბსოლუტურად უცხო იყო. ქორწინების შემდეგ, როდესაც კრემლში სტალინის ბინაში გადავიდნენ, დედას არ სურდა, შეხვედროდა მამამთილს. არა იმიტომ, რომ მის წინააღმდეგი იყო, არა, რასაკვირველია. მან თქვა: „რატომ? მე ჩვეულებრივი, უბრალო გოგო ვარ. რაზე უნდა ველაპარაკო მას?“ ერთხელ სტალინი სტუმრად მოვიდა და იკითხა: „სად არის ახალგაზრდა ქალი?“ ქალი ლოგინში შეძვრა და თავზე საბანი გადაიფარა: „ახალგაზრდა ქალს სძინავს“. დედაჩემს ერთხელ შევეკითხე: „ნანობ, რომ არ შეხვდი სტალინს, არ გისაუბრია მასთან? მან მიპასუხა: „არა, არ ვნანობ“.

და ძალ-ღონეც არ დაუშურებიათ, რომ ისინი გაყრილიყვნენ. სტალინის დაცვის უფროსმა ვლასიკმა ერთხელ მას უთხრა: „გალინა, ის, რაზეც მფრინავები ვასიას ესაუბრებიან, უნდა გვაცნობო“. ქალმა კი პირდაპირი გაგებით ის ერთ ადგილზე გაგზავნა. ვლასიკმა თქვა: „ო-ო-ო, ეს ცუდად დამთავრდება“. ქალმა ის ისევ იქითკენ გაუშვა. მაგრამ ყველაფერი, მართლაც, ცუდად დამთავრდა.

**— რატომ მოექცნენ მამაშენს ასე მკაცრად? რამდენი წელი ჰყავდათ ციხეში სხვა სახელით, მისგან რაღაც რკინის ნიღაბი შექმნეს... მან რაღაცა იცოდა, ვიღაცისთვის საფრთხეს წარმოადგენდა, რაღაცას გაამჟღავნებდა? თუ ეშინოდათ მისი, როგორც შესაძლებელი რევანშის სიმბოლოსი?**

— დიდხანს ვფიქრობდი: რატომ უნდა შინებოდათ მისი, რა უნდა გაეკეთებინა მას მათთვის? შემდეგ კი მივხვდი: დიახ, ეშინოდათ! ისინი ხომ მონური სულის ადამიანები იყვნენ. მათ იცოდნენ, რომ ისინი არაფერი არ არიან, იგი კი კრონპრინცია. აი, ახლა უცბად გამახსენდა, თუ გათავისუფლებამდე რამდენიმე ხნით ადრე როგორ მივედი მასთან შეხვედრაზე ლეფორტოვოში. დამშვიდობების დროს პირდაპირ ტუჩებში მაკოცა. მე ჯერ შემეშინდა კიდეც, მაგრამ უმალვე ვიგრძენი, რომ მან რაღაც გადმომცა. ეს იყო ერთი ნამცეცა ტუბუსი (მილი ოპტიკურ ხელსაწყოებში — რედ.). ავტომატური ფანქრის გრიფელისთვის, მაშინ რომ ერთობ პოპულარული იყო. მასში იყო წერილი თხოვნით, ვიღაცისთვის დამერეკა. მგონი, სვეტლანასთვის... არაფერი მნიშვნელოვანი ამ წერილში არ ყოფილა. რატომ გამახსენდა ეს ყველაფერი?

**— ალბათ, იმიტომ, რომ ეს მიუთითებს რისკისა და ავანტიურის უნარზე იმ ადამიანისა, ვისიც უნდა შინებოდათ სტალინის შემდგომ ბელადებს...**

— ალბათ, ასეა.

**— იგი, როგორ ფიქრობ, თავისი სიკვდილით მოკვდა?**

— არც ეს ვიცი. შენ გესმის, ჩემთვის უფრო იოლია ვიწამო, რომ თავისი სიკვდილით. მაგრამ ბევრი რამ მეტყველებს იმაზე, რომ ეს ასე არ არის. ის ქალი, მარია ნუსბერგი, ვისაც ის ხვდებოდა ყაზანში და ვინც მას უვლიდა სიკვდილამდე მეტად უცნაური იყო. ჩვენ ხომ სამივე — კაპიტოლინა, მისი მესამე ცოლი, ჩემი და ნადია და მე — მისი გარდაცვალებიდან უკვე მეორე დღეს, ვიყავით ყაზანში, მის ბინაში. იატაკზე რაღაც ამპულები ეყარა და კაპიტოლინას მათი აკრეფა უნდოდა. მაგრამ ის პირი, ვინც ოთახში მორიგებოდა, ეცა მას და ყველა ეს ამპულა მტვრად აქცია. და კაპიტოლინამ, ერთობ ჭკვიანმა ქალმა, ჩუმად მითხრა: „ეს უნდა დავიმახსოვროთ...“

**— და კაპიტოლინა, როგორც ჩანს, დარწმუნებული იყო, რომ ის იმ ქვეყნად გაისტუმრეს...**

— დიახ. მეც მაშინ ეს ჩემთვის გავიფიქრე. მახსოვს, როდესაც ზეწარი ავწიეთ, რომლის ქვეშაც შიშველ ფიცრებზე მას ეძინა, დავინახე, რომ ცხვირი გატეხილი ჰქონდა, მაჯებზე კი — ჰემატომები. და კიდევ ერთი რამ. ოფიციალური დასკვნით, ის გულის ავადმყოფობით გარდაიცვალა. მაგრამ ყაზანში თავისი ფაქტობრივი გადასახლების წინ იყო ბაკულევთან, რომელიც ბავშვობიდან ადევნებდა მას თვალყურს, და მან უთხრა, რომ მამაჩემს ხარის გული ჰქონდა. ერთ წელიწადში რა შეიძლებოდა დამართვოდა ხარის გულს?

**— მის დაკრძალვაზეც ბევრი ხალხი იყო. იმდენი არა, რასაკვირველია, რამდენიც მამამისის დაკრძალვის დროს. მაგრამ სტალინის გარდაცვალების შესახებ მთელ მსოფლიოს აცნობეს, ვასილის სიკვდილი როგორღა გაიგო ხალხმა?**

— მისი გარდაცვალებიდან საათნახევრის შემდეგ „ამერიკის ხმამ“ გადასცა ამის შესახებ. საიდან გაიგეს იქ, ღმერთმა იცის, შეიძლება მხოლოდ იმარჩიელო. იმიტომ, რომ საბჭოთა რადიო, ბუნებრივია, ამის შესახებ არაფერს იტყობინებოდა. დაგვირეკეს და გვითხრეს სწორედ „ამერიკის ხმაზე“ მითითებით. ჩვენ — დედაჩემი, ნადია და მე — უმალვე გამოვედით ქუჩაში, ავიყვანეთ ტაქსი და სადღაც წავედით. უცბად ტაქსის მძღოლი მოგვიბრუნდა და გვეუბნება: „გაიგეთ? ვასია სტალინი გარდაიცვალა!“ სწორედ ასე: „ვასია სტალინი“.

ხალხი დაკრძალვაზე ძალიან ბევრი იყო. მთელი ეზო გადაჭედილი იყო მომსვლელებით. ერთოთახიანი ბინა, კუბო ტაბურეტებზე დევს, ყვავილებს ქალაქში ვერ იშოვიდი, ძლივს მოვიძიეთ ორი დამჭკნარი ნემსიწვერა.

სასაფლაოზე იმდენი ხალხი მოვიდა, რომ მეზობელ საფლავებზე რამდენიმე ძეგლი წააქციეს. როდესაც კუბო მიწაში ჩაასვენეს, ნადია ერთ წუთში გახდა სრულიად თეთრი, როგორც შენ ახლა ხარ. მას მამა ძალიან უყვარდა. თუმცა შემდგომ, ჭაღარა გაქრა...

**— ვასილის ცხედრის გადასვენება ტროეკუროვის სასაფლაოზე 2000-იანი წლების დასაწყისში — ეს რა, პოლიტიკური ჟესტი იყო?**

— კარგი ერთი. მისი უკანასკნელი თანამგზავრის, მაშას ქალიშვილებს არანაირი ურთიერთობა არ ჰქონდათ ვასილისთან, მაგრამ შეძლეს რაღაც კავშირებით მისი, მასთან ერთად კი დედამისის ცხედრების გადასვენება მოსკოვში. ამის ნებართვა გასცა სერგეი ივანოვმა, რომელიც მაშინ თავდაცვის მინისტრი იყო. თანაც ჩემთვის არც უკითხავთ, თუმცა, ივანოვი მე მიცნობს, დამაჯილდოვა კიდეც რაღაც საათითა და სიგელებით, ჩამომართვა ხელი და თქვა: „როგორც იქნა, ცოცხალი დაგინახეთ!“ მე, რასაკვირველია, არ ვითხოვ რაღაც განსაკუთრებულ დამოკიდებულებასა და დელიკატურობას, მაგრამ იატაკის ტილოს ასე ჩარტყმა თავში, დამეთანხმე, არ არის სასიამოვნო.

**— შენ როგორ განმარტავ სტალინის მითის თანამედროვე აღზევებას? რა, რუსეთი წარსულის გარდა ვერაფრით იცხოვრებს?**

— შენ თავად უპასუხე ნაწილობრივ შენს შეკითხვას, როდესაც იხმარე გამონათქვამი „სტალინის მითი“. საკითხი დიდი ხანია სწორედ მითს და არა რეალურ ადამიანს შეეხება. რუსეთში რომ მოწესრიგებულიყო ნორმალური ცხოვრება და აშენებულიყო ხალხისკენ პირით და არა ზურგით მიბრუნებული ნორმალური სახელმწიფო, მითისა და კერპების აუცილებლობა თანდათან გადაიწევდა მეორე პლანზე. შემდეგ კი სულაც გაქრებოდა. როგორც ეს დაემართა ჰიტლერს, ვის შესახებაც დღეს გერმანიაში თავშიც არავის მოუვა აზრად, დაიწყოს დავა მის შესახებ, როგორც აქტუალურ პოლიტიკურ ფიგურაზე. მაგრამ ჩვენ სახელმწიფოში, ეტყობა, ყველაფერი ისე უკუღმართადაა, იმდენად შეაქცია ზურგი მან ნამდვილ პრობლემებს, რომ მოთხოვნა სტალინის მითზე ყოველწლიურად მხოლოდ იზრდება. ხელისუფლებას ჩაჭიდებული აქვს მასზე ხელი, როგორც მაშველ რგოლზე. შედეგად დღეს სტალინს ისეთი ძეგლი აუჩეჩხვეს, რომელსაც უკვე ვერავინ და ვერასოდეს ველარ დაამხობს. სხვათა შორის, თავისი წვლილი მითის განმტკიცებაში შეიტანეს სტალინის კრიტიკოსებმაც. როდემდე შეიძლება ყველა ჩვენი პრობლემა და ცხოვრების სიმახინჯე ავხსნათ სტალინით? ის უკვე სამოცი წელია, ცოცხალი აღარაა, ამ დროის განმავლობაში ორჯერ შეიძლებოდა აგვეშენებინა თანამედროვე, ცივილიზებული სახელმწიფო!

**— შენ შეგეძლო დაგედგა სპექტაკლი სტალინზე?**

— არა. მეშინია, რომ არ ვიქნები ობიექტური, ვიქნები მიკერძოებული. უცბად რომ დავიწყო მისი დაცვა? მე არ მჭირდება სტალინზე სპექტაკლების დადგმა.

**— პირიქით რომ ყოფილიყო, ვთქვათ, სოლჟენიცინი, შალამოვი, შეგეძლო დაგედგა? მახსოვს შენი საუბარი, სტუდენტობის წლებში როგორ დაგავიწყდა თვითგამოცემის საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტის ასლი ტრამვაიში...**

— ავტობუსში. მიყვარდა „მატრიონას დღე“, მიმაჩნია, რომ ეს არის ყველაზე საუკეთესო, რაც სოლჟენიცინს დაუწერია. თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტში მინდოდა მისგან რაღაც ნაწყვეტი გამეკეთებინა. ქალბატონმა მარიამ დროულად „წამავლო ხელი“. მითხრა: „არ არის საჭირო“.

**ლეონიდ ველეხოვი**

СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО

## რეპრესირებული გვიამბობს

# „ძველმა ხელისუფლებამ უკანონოდ დამსაჯა, ახალმა კი ჯერჯერობით სამართალი არ მაღირსა“

(მეოთხე გვერდიდან)

რატომ უნდა ვკითხოთ ვენეციის კომისიას, იყო თუ არა იუსტიციის საბჭოს მდივანი ცერცვაძე დამნაშავე, რომელმაც კარიერა იმით გაიკეთა, რომ სააკაშვილის დავალება პირნათლად შეასრულა... საზოგადოებას იქნებ აუხსნას ვინმემ, რატომ უნდა ვაცალოთ „ჯალათ“ მოსამართლეებს ე. წ. 10-წლიანი ვადის დამთავრება, იმიტომ ხომ არა, რომ ისინი სააკაშვილის მონა მოსამართლეები იყვნენ? ახალი ხელისუფლებისთვის ვენეციის ვილაც ექსპერტის აზრი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ასიათასობით თანამოქალაქისა? პარლამენტარები იმიტომ კი არ ავირჩიეთ, რომ ჩვენზე ლამაზები, განათლებულები, პატრიოტები არიან, არამედ იმიტომ, რომ გვეგონა, სააკაშვილის რეჟიმის სიძულვილში თანამოაზრეები ვიყავით.

**— მაინც რაში ხედავთ გამოსავალს, როგორ უნდა მოიქცეს ხელისუფლება?**

— შესანიშნავი „რეცეპტი“ მისცა ხელისუფლებას ბატონმა მინდია უგრეხელიძემ, ამას წინათ ტორონტოდან ჩაგვერთო საიას ყოფილი თავმჯდომარე ანი დოლიძე, რომელიც სამართლის დოქტორი და პროფესორია. ისინი და სხვებიც ხელისუფლებას სთავაზობენ „სპეცპროკურატურისა“ და „სპეცსასამართლოს“ შექმნას. განა ამის გაკეთება ძნელია? მე ნამდვილად არ მინდა, რომ ჩემი განცხადება-საჩივარი განიხილონ სააკაშვილის დროინდელმა პროკურორებმა და მისმა მოსამართლეებმა. განა ეს მოთხოვნები უსამართლოა? რატომ არ აკეთებს ხელისუფლება იმას, რისი გადაწყვეტაც მას ხუთ წუთში, იუსტიციის მინისტრის ბრძანების საფუძველზე შეუძლია?!

**— როგორ ფიქრობთ, რატომ?**

— იმიტომ, რომ ვიღაცამ პარლამენტში თქვა, ჩვენც მათ ხომ არ დავემსგავსებითო? არადა, მგონი გადააჭარბეს. ძალიან გამიკვირდა, რომ ისეთი გონიერი კაცი, როგორიც ვახტან ხმალაძეა, როგორ „გადაეფარა“ სააკაშვილს და როგორ გამოძებნა რაღაც გაუგებარი არგუმენტები იმისთვის, რომ მისი იმპიჩმენტი არ დაწყებულიყო. არადა, მილიონზე მეტი ამომრჩეველი, რომლებსაც თავკაცობდნენ ერის საუკეთესო შვილები, მათ შორის იურისტებიც, „გიჟები“ იყვნენ, ხელმოწერები რომ შეაგროვეს? დაგვეწყო იმპიჩმენტი, შეგვეწუხებინა“ კაცი, რომელიც თავისი ვადაგასული პრეზიდენტობით ყოველდღე ლაფს ასხამს თავის ქვეყანას!

**— პარლამენტმა მართლაც უხვად და უნაყოფოდ „დახარჯა“ დრო. არადა, ასეთი „ფუფუნების“ უფლება ჩვენ არა გვაქვს, ეს საზოგადოებაში მხოლოდ აგრესიას იწვევს. გვახსოვს, წინასაარჩევნოდ ბატონი ბიძინა ივანიშვილიც და სხვებიც თითქმის ყველა გამოსვლაში ამბობდნენ, რომ საქმიანობას დაიწყებდნენ სამართლიანობის აღდგენით, ბატონმა ბიძინამ ისიც კი განაცხადა, ნუ გადავტვირთავთ სასამართლოებს და საკითხები, რომლებიც არაა სადავო, რომელზეც შეიძლება მორიგება... დროზე დაამთავრეთო.**

— კონკრეტულად ჩემს თავზე ვიტყვი: ჩამომართვეს მემკვიდრეობით მიღებული ბინა (ე. ი. კომუნისტებისდროინდელი), დიღმის მეურნეობაში შევარდნაძის განკარგულებით საჩუქრად მიღებული მიწის ნაკვეთი, ჩემი და გარდაცვლილი მეუღლის დანაზოგი ბანკ „რესპუბლიკაში“, ჩემი ქალიშვილის საოფისე ფართი (რა შუაში იყო სამი შვილის დედა?) და მსუბუქი ავტომანქანები. 9 წელიწადია ეს ქონება უპატრონოდაა, გაიძარცვა, მაწანწალებისა და ნარკომანების თავშესაფრად იქცა, დღემდე ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა, მაგრამ ვერ მივაღწიე იმას, რომ ეს გაძარცული ქონება, რომელიც ჩატარებული აუქციონების მიუხედავად, არ გაიყიდა, როგორმე დაგვებრუნებინა.

**— თუ მიმართეთ ეკონომიკის სამინისტროს?**

— რამდენჯერმე... მინისტრის მოადგილე ძალიან სიმპათიურ ქალბატონსაც კი შევხვდი. შევთავაზე, მოვილაპარაკოთ, მოვძებნოთ ქონების დაბრუნების მექანიზმი, რომელიც თქვენ ბალანსსაც „ამძიმებს“-მეთქი... პასუხი ერთია „ჩვენ ამის გაკეთების უფლება არა გვაქვს“... იბადება კითხვა, აბა რისი უფლება გაქვთ, იმის, რომ ჩამორთმეული ქონება 9 წელიწადი უპატრონოდ მიატოვო? ანუ არც შენ და არც მე? ასე არ გამოვა...

**— ე. ი. იგივე ჩინოვნიკური დამოკიდებულებაა, როგორც იყო სააკშვილის დროს, როდესაც მინისტრსაც კი არ შეეძლო, უბრალო საკითხის გადაწყვეტა?**

— უფრო მეტიც, მე დავრწუნდი, რომ უწყებებმა არ იციან, რისი გაკეთების უფლება აქვთ და რისი — არა. განა შეიძლება მინისტრის მოადგილეები დამოუკიდებლად ვერ ღებულობდნენ გადაწყვეტილებას? რატომ არ შეუძლიათ მინისტრს, მის მოადგილეებს მოითხოვონ გაჭიანურებული საკითხების დროულად გადაწყვეტა? ალბათ იმიტომ, რომ მუშაობა არ იციან, ანდა თავს არ იწუხებენ...

ესაუბრა
**სპარტაკ ქობულია**

**რედაქციისგან: ბატონმა ნაპოლეონ ქარქაშაძემ საქართველოში ბოლო ათწლეულებში განვითარებულ მოვლენებზე, რომელთა თვითმხილველი და უშუალო მონაწილეც თვითონ იყო, დაწერა მოგონებათა უაღრესად საინტერესო წიგნი, რომელიც მალე გამოიცემა. ავტორის თავაზიან ნებართვით უახლოეს ნომრებში ჩვენი გაზეთის მკითხველს შევთავაზებთ რამდენიმე ერთობ საინტერესო თავს ამ წიგნიდან.**

## ინფორმაცია

### ჯვრისწერას შესაძლოა, იურიდიული ძალა მიეცეს

**ამ საკითხის განხილვა სახელმწიფოსა და სამოციქულო ავტოკეფალურ, მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების განმხილველი სამთავრობო კომისიის ფარგლებში მოხდება.**

**ამასთან, კომისიის შემადგენლობა შეიცვალა. მას პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი უხელმძღვანელებს. სამუშაო ჯგუფად დაყოფილ სამთავრობო კომისიაში კი, გაიზარდა ჯგუფების რაოდენობა და სამუშაო მიმართულებები. მათ შორის ერთ-ერთია „კანონით დადგენილი წესით ჯვრისწერის აღიარების განმსაზღვრელი სამუშაო ჯგუფი“.**

**„ინტერპრესნიუსი“ აღნიშნული სამუშაო ჯგუფის წევრს, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტ თეოდორეს (ჭუაძე) დაუკავშირდა.**

**მეუფის თქმით, სამუშაოა ჩასატარებელი, რათა ჯვრისწერა ოფიაციალურად იყოს ცნობილი.**

**— ამჟამად ეკლესიის მიერ გაცემული ჯვრისწერის მოწმობა არ არის ოფიციალური დოკუმენტი. საჭიროა, სახელმწიფომ აღიაროს იგი, როგორც ოფიციალური დოკუმენტი. რამდენად სწრაფად არის ეს ყოველივე შესაძლებელი, ჯერ უცნობია. მუშაობის პროცესში გამოჩნდება. სამუშაო ჯგუფის პირველი შეკრება ჯერ დაგეგმილი არ არის, — დასძინა მიტროპოლიტმა თეოდორემ.**

### თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სასულიერო პირებს ოფიციალურად დაუშვებენ

**ამ საკითხის განხილვა სახელმწიფოსა და სამოციქულო ავტოკეფალურ, მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების განმხილველი სამთავრობო კომისიის ფარგლებში მოხდება.**

**„ინტერპრესნიუსი“ აღნიშნული სამუშაო ჯგუფის წევრს ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტ თეოდორეს (ჭუაძე) დაუკავშირდა. მეუფის განცხადებით, სასულიერო პირებს საპატიმროებში შესვლაზე პრობლემები ადრეც არ ქონიათ, მაგრამ ამას შემდგომში ოფიციალური სახე მიეცემა.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ძიუდო



# ყვარლიდან — უნგრეთისკენ

**საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებს, რომელიც 25-28 აპრილს უნგრეთში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის ყვარელში ემზადება, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი ესტუმრა. მინისტრი ძიუდოისტთა ნაკრების ვარჯიშს დაესწრო, მოგვიანებით კი ყვარლის ტბის კომპლექსში, სადაც ეროვნული გუნდია დაბინავებული, ძიუდოისტთა ნაკრების თავკაცებს და სპორტსმენებს ესაუბრა და ევროპირველობაზე წარმატებით გამოსვლა უსურვა.**

მინისტრს ძიუდოისტებთან შეხვედრაზე სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გიორგი ასათიანი, მასობრივი სპორტის სამმართველოს უფროსი ვლადიმერ ნუცუბიძე და ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი დავით ქევხიშვილი ახლდნენ. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების თავკაცმა ირაკლი უზნაძემ, როგორც უკვე გაუწყეთ, ევროპირველობაზე წამსვლელი შემადგენლობა რამდენიმე დღის წინათ ოფიციალურად დაასახელა.

პირად პირველობაში ამირან პაპინაშვილი (60 კგ ), ლაშა შავდათუაშვილი (66 კგ), ნუგზარ ტატალაშვილი, ზებედა რეხვიაშვილი (ორივე — 73 კგ), ავთანდილ ჭრიკიშვილი, ლევან წიკლაური (81 კგ), ვალერი ლიპარტელიანი (90 კგ), დავით ლორიაშვილი (100 კგ) და ადამ ოქრუაშვილი (+100) გამოვლენ, ხოლო გუნდურ ტურნირში საჭიდაოდ ნაკრების მთავარ მწვრთნელს დამატებით კიდევ სამი ფალავანი მიჰყავს — შალვა ქარდავა (66 კგ), ზვიად გოგოჭური (90 კგ) და ონისე ბულაძე ((100 კგ). გუნდური შეჯიბრება ხუთ წონით კატეგორიაში ტარდება — 66, 73, 81, 90 და +90.

**მანუჩარ გიორგაძე**

ფეხბურთი

# მეორედ — ლუზიტანიაში



**საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები დღეს პორტუგალიაში გაემგზავრება და ქალაქ პოვოა დე ვარზიმში ოთხთა საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს. 23 აპრილს გია ცეცაძის გუნდი მასპინძელ თანატოლებს გაეჯიბრება, 25 აპრილს — სერბებს, ორი დღის შემდეგ კი — რუსებს.**

მთავარმა მწვრთნელმა ის ფეხბურთელები დაასახელა, რომლებიც პორტუგალიაში ითამაშებენ:

**მეკარეები:** გაბრიელ თებიძე (საჩხერის „ჩიხურა“), ბაჩო მიქავა (თბილისის „ლოკომოტივი“)

**მცველები:** დავით მთივლიშვილი, ნიკა ჭანტურია (ორივე თბილისის „ლოკომოტივი“), ლევან გეგეჭკორი (მარტვილის „მერანი“), ნიკა სანდოხაძე (ქუთაისის „ტორპედო“), დავით უბილავა (თბილისის „ვიტ ჯორჯია“), ლაშა დვალი (რიგის „სკონტო“, ლატვია).

**ნახევარმცველები:** გურამ სამუშია, ავთო ენდელაძე (ორივე „ზესტაფონი“), თემურ მარკოზაშვილი (ქუთაისის „ტორპედო“), პაპუნა ფონიავა (მარტვილის „მერანი“), დაჩი ცნობილაძე (რუსთავის „მეტალურგი), გიორგი გოროზია (თბილისის „ლოკომოტივი“)

**თავდამსხმელები:** ბაჩანა არაბული (გორის „დილა“), ბუდუ ზივზივაძე (თბილისის „დინამო“), გიორგი ფანცულაია (ქუთაისის „ტორპედო“), ნიკა კაჭარავა (ყაზანის „რუბინი“, რუსეთი)

ჩვენმა 19-წლამდელებმა პორტუგალიის საერთაშორისო ტურნირში შარშან პირველად იასპარეზეს და მეორე ადგილი დაიკავეს. ოთარ კორღალიძის გუნდი მაშინ პირველ შეხვედრაში მასპინძლებთან 0:5 დამარცხდა, საფრანგეთს 3:0 სძლია, სერბეთს კი — 3:2.

მაისში გია ცეცაძის გუნდი ევრო 2013-ის ელიტ-რაუნდში ითამაშებს. ქართველი 19-წლამდელების მეტოქეები ბელგიის, ინგლისის და შოტლანდიის ნაკრებები იქნებიან.

**გიორგი შოთაძე**

ჭიდაობა

# საუკეთესოები ოლიმპიურმა ჩემპიონმა დააჯილდოვა

**ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების (გამგებელი დავით გოგუა, საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ესებუა) ხელშეწყობითა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის (უფროსი ედემ კვარაცხელია, მთავარი სპეციალისტი თეა ტყებუჩავა) ორგანიზებით ჩხოროწყუს არაერთი მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის უმასპინძლია და, დიდი სპორტისკენ მრავალი ათლეტისთვის გაუკაფავს გზა.** აი, ახლაც საასპარეზოდ 10 რაიონის 1998-2001 წლებში დაბადებულ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებს უხმეს — მეორედ გაიმართა აქ სახელოვანი ფალავნის, მეხიკოს ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულისა და ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონის, ღირსების, ვახტანგ გორგასლის, სეოკ-ისა და ფილა-ს ორდენების კავალერის, სპორტის დამსახურებული ოსტატის — **რომან რურუას** სახელობის ტურნირი. 12 წონით კატეგორიაში 150-მდე სპორტსმენი ცდიდა ძალებს. ოთხდღიანი პაექრობების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით კვარცხლბეკზე ავიდნენ:

**26 კგ.** 1. რევაზ კუხალაშვილი, 2. ნიკოლოზ გვიანიძე (ორივე — ქუთაისი), 3. ვახტანგ კუპრავა (მარტვილი), გიორგი ჭანტურია (საჯიჯაო).

**29 კგ.** 1. ლუკა ოჩიგავა (სენაკი), 2. გია გოგოლაძე (ძველი სენაკი), 3. გიორგი ჭანტურია (საჯიჯაო), ნიკა ტყებუჩავა (სენაკი).

**32 კგ.** 1. გიორგი ჩხიკვაძე (სენაკი), 2. მამუკა დემეტრაძე, 3. შაკო ხვადაგიანი (ორივე — ქუთაისი), ედიკა ოკუჯავა (საჯიჯაო).

**35 კგ.** 1. ნიკუშა ლაშქარავა (ძველი სენაკი), 2. მამუკა დემეტრაძე (ქუთაისი), 3. კოკა კაკულია (სენაკი), ბაკურ ქაჯაია (საჯიჯაო).

**38 კგ.** 1. მამუკა ჯოჯუა (ხობი), 2. გივი ლოლაძე (ქუთაისი), 3. ლავროსი სიჭინავა (ჩხოროწყუ), გოგა პერტახია (საჯიჯაო).

**42 კგ.** 1. თემურ გოგია (სენაკი), 2. ალეკო ქაქუთია (ძველი სენაკი), 3. გიორგი მეფიშვილი (სენაკი), გიორგი სოსელია (საჯიჯაო).

**47 კგ.** 1. ავთანდილ ჯოჯუა, 2. ირაკლი გადელია (ორივე — ჩხოროწყუ), 3. ზაზა ხუხია (სენაკი), გიგა ალფაიძე (ქუთაისი).



**53 კგ.** 1. ზურაბ სიმონია (სენაკი), 2. თორნიკე ჯანელიძე (ქუთაისი), 3. ბორის ნიკოლავა (სენაკი), ნიკა მიქაძე (ძველი სენაკი).

**59 კგ.** 1. ბადრი ჯანელიძე, 2. საბა ცხადაძე (ორივე — ქუთაისი), 3. სოსო შურღაია, ნიკა ღურწკაია (ორივე — საჯიჯაო).

**66 კგ.** 1. დავით სიჭინავა (ჩხოროწყუ), 2. მირიან ურთმელიძე, 3. გიორგი კეზევაძე (ორივე — ქუთაისი), ზაზა დავითაძე (ჩხოროწყუ).

**73 კგ.** 1. დავით კელენჯერიძე, 2. გუჯა კუპრაშვილი (ორივე — ქუთაისი), 3. ზაზა დავითაძე, გოგიტა ქარჩავა (ორივე — ჩხოროწყუ).

**+73 კგ.** 1. ოთარ ლოლაძე, 2. გურამ კეთილაძე, 3. პაპუნა სახტარაძე (სამივე — ქუთაისი), გიორგი გოგია (ჩხოროწყუ).

პირველ-მესამე ადგილებზე გასულ მოჭიდავეებს შესაბამისი ხარისხის მედლები, თასები და ოლიმპიური ჩემპიონის მიერ დაწესებული ფულადი პრიზები გადაეცათ. საპატიო სტუმარმა ჩხოროწყუს მოჭიდავეთა გუნდს 10 სპორტული ფორმა უსახსოვრა, ხოლო ტურნირში მონაწილე გუნდების მწვრთნელები პოლოებითა და მაისურებით დაასაჩუქრა. რომან რურუას სახელობის თასი 66 კილოში გამარჯვებულმა დავით სიჭინავამ (ჩხოროწყუ) დაიმსახურა. ტურნირის საუკეთესო მოჭიდავეები ოლიმპიურ ჩემპიონ რომან რურუასთან ერთად **დავით გოგუამ, ბესიკ ესებუამ,** გამგებლის მოადგილე **ვალერი თოდუამ** და **ედემ კვარაცხელიამ** დააჯილდოვეს.

**ლექსო ცინცაძე**

კალათბურთი

# ბეწვის ხიდზე

**ევროლიგის უმთავრესი ფავორიტი „ბარსელონა“ გადარჩა.**

კუთხეში მიმწყვდეულ კატალონიურ გრანდს უკანდასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა და მანაც ათენში სამაგალითო გაკვეთილი ჩაუტარა „პანათინაიკოსს“, რომელიც მეოთხედფინალური პლეი-ოფის სერიაში წინ იყო — 2:1 და სწორედ საკუთარ კედლებში მართებდა ოთხთა ფინალისკენ გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა.

ბრძოლის სიუჟეტი მნიშვნელოვანწილად მეორე პერიოდმა განსაზღვრა, რომელიც სტუმრებმა 28:10(!) მოიგეს, მთლიანად მატჩი კი — 70:60.

გამარჯვებულთაგან ნავარომ (17 ქულა) და ტომიჩმა (16 ქულა) იყოჩაღეს, ხოლო ელადელთაგან ბრამოსმა (15 ქულა) და ლასმემ (12 ქულა).

რაც შეეხება წინა შეხვედრების გმირ დიამანტიდისს, პარტნიორთა უმეტესობის მსგავსად, მას ტყორცნები არ წაუვიდა და თამაში 0(!) ქულით დაასრულა.

მეტოქეთა დასკვნითი დუელი აპენინებზე 21 აპრილს გაიმართება.

**ვიტალი ჯაფარიძე**




ხელბურთი

# „მერანი“ ვერავინ დაიმორჩილა

**თბილისი 2015 წელს ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადებიან ხელბურთელებიც. ორი წლის შემდეგ სპორტის ამ სახეობაში ქვეყნის სპორტული ღირსების დაცვა 1998-1999 წლებში დაბადებულ გოგო-ბიჭებს მოუწევთ. ვაჟები მეოთხე წელიწადია, საქართველოს პირველობებში მონაწილეობენ.**



წლევანდელ პაექრობებში 19 გუნდი ჩაება. მათგან გადამწყვეტ ეტაპზე რვა საუკეთესო გავიდა. გუშინ ფინალური შეხვედრები გაიმართა. ოქროსთვის ქვეჯგუფების გამარჯვებულები — თბილისის „მერანი“ და დედაქალაქის „პეგასი“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. „მერანი“ უკეთ მომზადებული აღმოჩნდა — მეტოქეს 34:32 აჯობა და ოქროს მედალი მოიპოვა. ვერცხლი „პეგასს“ ხვდა. მესამე ადგილისთვის პაექრობაში თბილისის „კორიდამ“ გორელ ხელბურთელებს ერთი ბურთით მოუგო — 26:25. მეხუთე ადგილზე ზუგდიდელები გავიდნენ, რომლებმაც თელაველებს სძლიეს (28:20). ყვარელმა დედაქალაქის „მართვე“ დაამარცხა — 25:23 და მე-7 ადგილით დაკმაყოფილდა.

ჩემპიონი და პრიზიორები, ასევე, პირველობის საუკეთესო ხელბურთელები — ლუკა გაწერელია, მიხეილ ნაზღაიძე, ნოდარ მაისურაძე (სამივე — „პეგასი“), გიორგი მერკვილაძე (ქუთაისი), ლუკა ბულბულაშვილი, ირაკლი კბილაშვილი (ორივე — „მერანი“) და ალექსანდრე ხანდოლაშვილი („შევარდენი“) შესაბამისი ხარისხის მედლებითა და პრიზებით დააჯილდოვეს.

**გივი გაგუა**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ წარდგინება

# მთელი ბიბლია მონასტრის კედლებზე

**ბორჯომის ხეობაში ტიმოთესუბნის მონასტერს ამ ორი წლის წინათ ვეწვიეთ. მიზანი, ჩვენი უახლოესი მეგობრის, შესანიშნავი მუსიკოსის თენგიზ ჩიტაიშვილის საერო ცხოვრების მიტოვება და მონასტერში მოღვაწეობის გაგრძელების სურვილი იყო.** სწორედ მაშინ ვიხილე ღვთისმშობლის მიძინების სახელზე აგებული ტაძრის უნიკალური მოხატულობა. თენგიზ ჩიტაიშვილმა, ახლა რომ მორჩილად მსახურობს მონასტერში და **თეოდორედ** მოინათლა, მართლაც უზარმაზარი შრომა გასწია, რათა შეესწავლა ეს ულამაზესი კედლის მხატვრობა, მოეძია უამრავი ლიტერატურა, „ეძრომიალა" ისტორიის ანალებში და შეექმნა მშვენიერი წიგნი **„ტიმოთესუბნის ეკლესია",** რომელიც რამდენიმე დღის წინათ საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის დარბაზში წარუდგინა საქართველოს საეკლესიო ისტორიით დაინტერესებულ საზოგადოებას.






თეოდორემ უდიდესი თავმდაბლობით განაცხადა და წიგნსაც წინასიტყვაობად დაურთო თავისი გულისნათქვამი – არ მაქვს პრეტენზია იმისა, რომ წიგნი წარმოგიდგინოთ როგორც მეცნიერული ნაშრომი, მაგრამ იგი ეყრდნობა მეცნიერთა ფუნდამენტურ გამოკვლევებსა და პუბლიკაციებს. იგი არ არის დაზღვეული უნებლიე შეცდომების, შეფასებებისა და დასკვნებისაგან, რისთვისაც შენობას ვთხოვ მომავალ მკითხველსა და ამ სფეროში მოღვაწე ტიტულოვან მეცნიერებს.

ავტორმა მართლაც უდიდესი შრომა გასწია, გოჯი-გოჯ შეისწავლა ტაძრის კედლებზე მოხატული უამრავი სცენა და წმინდანთა და მოწამეთა ფრესკები. ამით კი ტაძარი მართლაც უნიკალურია არა მარტო საქართველოში, არამედ თამამად შეგვიძლია თავი მოვიწონოთ – მთელ მსოფლიოშიც. მის კედლებზე ცოცხლდება მთელი ბიბლია – ძველი აღთქმისა და სახარების ქრონოლოგიურად გაცოცხლებული სიუჟეტები.

ავტორს გამოუკვლევია, რომ ამ შესანიშნავ ფრესკათა ავტორი არა ერთი კონკრეტული პიროვნება, არამედ ავტორთა ჯგუფი ყოფილა, რომლებსაც ამგვარივე რუდუნებით მოუხატავთ არა მარტო ტიმოთესუბნის ტაძარი, არამედ ბეთანია, ყინწვისი, ბერთუბანი, ვარძია და ოზაანი. მაგალითისთვის ყინწვისის აღდგომის მახარებელი ანგელოზისა და ტიმოთესუბნის სამოთხის მცველი ანგელოზის იდენტურობაც კმარა. მიუხედავად თავმდაბლობის ამ სკოლის ზოგიერთ წარმომადგენელს მაინც დაუტოვია „კვალი" ფრესკებზე და სწორედ აქედან ვგებულობთ მათ სახელებს – ვარძიის ფრესკაზე გიორგი ჭარი (სავარაუდოდ იგი საინგილოს ჭარიდან უნდა ყოფილიყო), ბეთანიაში კი ამგვარი წარწერა აქვს ფრესკას **„ღმერთო, არ შეუნდო სოფრომსა"** (რადგან ფრესკათმხატვარნი ტაძრებში თავიანთ ვინაობას არ ტოვებდნენ), ოზაანის ამაღლების ტაძარში კი მომხატველად გვევლინება მიქაელი, რომელსაც ტაძრის ქტიტორის კახთა მეფის, ოსი მონის მიერ ღალატით მოკლული კვირიკე III-ის ანდერძი შეუსრულებია და ტაძარი მოუხატავს.

**„ადვილი შესაძლებელია, რომ რომელიმე ამ მხატვართაგანი (ან სამივე) მუშაობდა ტიმოთესუბნის ფრესკებზე, თუმცა, მათზე ისტორიული ცნობები იმდენად მწირია, რომ გვიტოვებს მხოლოდ იმის საშუალებას, რომ ლოცვებში მოვიხსენოთ ამ დიდი ოცნების სახელი"** – წერს ავტორი.

ბიბლიური სიუჟეტები საწყისს ტაძრის ჩრდილოეთის კედლის აღმოსავლეთ კუთხის უმაღლეს წერტილში იწყებს ღვთისმშობლის შობის ეპიზოდით. კომპოზიციის განვითარება კი ხდება რეგისტრირების მიხედვით წრიულად, ზევიდან ქვევით და საათის ისრის მიმართულებით.

ტაძარში ვხვდებით ტაძრის ქტიტორისა და სახელმწიფოს იმდროინდელ ხელმწიფეთა ფრესკებს – თამარ მეფე, გიორგი IV, შალვა და ივანე ახალციხელები, არგვეთის ერისთავი დავითი (მხეიძე).

ტაძარი 1185-1205 წლებშია აგებული სამეფო კარის მეჭურჭლეთუხუცესის, თორ-ჯავახეთის ერისთავის, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის შალვა ახალციხელის მიერ.

წიგნი სამენოვანია (ქართულ-რუსულ-ინგლისური), რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ უცხოეთშიც დაინტერესდნენ ამ უნიკალური ტაძრის ისტორიითა და მხატვრობით. ავტორმა წარდგინებისას დიდი მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც წვლილი გაიღო ამ წიგნის შექმნაში – სარედაქციო კოლეგიის წევრებსა და მთარგმნელებს. წიგნში გამოყენებულია ცნობილი ფოტოხელოვანის გივი ჯოლბორდის მიერ შესრულებული ყველა ფრესკისა და ტაძრის ფერადი ფოტოილუსტრაციები.

**მამუკა ვაშაკიძე**

სულთათანა

# ზაურ ინასარიძე



კიდევ ერთი ნაღდი კაცი, მამულიშვილი და ერთგული მეგობარი წავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა დიდი გულისტკივილი.

15 მაისს, მისი დაბადების დღეს, უმისოდ პირველად შევიკრიბებით. იგი სამართლიანად ამაყობდა იმით, რომ ინასარიძეების დიდებული გვარის მატარებელი იყო, ამაყობდა იმით, რომ ბორჯომში დაიბადა, ამაყობდა იმით, რომ პროფესიონალი არქიტექტორი იყო, ამაყობდა იმით, რომ „ქართველ ჰემინგუეის" ვეძახდით, რადგან წლების მანძილზე შორეული ნაოსნობის მეზღვაური იყო და საყვარელი გემით „სვერდლოვსკით" ყველა ოკეანე და ზღვა დაიპყრო, ამაყობდა იმით, რომ ქალბატონ დალისთან ერთად ლამაზი ოჯახი შექმნა და ერთგული სამეგობრო შეიძინა!

მშობლიურ გეპეიში, ჩვენს სამეგობროში ზაურ ინასარიძე გოდერძი ბუკიამ მოიპატიჟა. ერთი შეხედვით, ერთმანეთისგან თვისებებით სრულიად განსხვავებულებს, გამორჩეული ძმობა და ერთგულება აკავშირებდათ და უსიტყვოდ უგებდნენ ერთმანეთს...

მოგეხსენებათ, ადამიანთა ამ ქვეყნად მოსვლა ერთმანეთისგან თითქმის არ განსხვავდება. წუთისოფლიდან საბოლოოდ გამგზავრება კი... არც ერთი არ ჰგავს ერთმანეთს. სულ გვეშინოდა, სნეულმა და სიყვარულით სავსე გულმა არ უმტყუნოსო, მაგრამ სწორედ გულმა უერთგულა ბოლომდე...

მწუხარეა ჩვენი საძმო!

იძინე მშვიდად, ჩვენო ერთგულო მეგობარო!

ნათელში გამყოფოს უფალმა...

**გოდერძი ბუკია, ზურაბ ერქვანია, დაზმირ კუჭავა, მანანა, ნანა კეკელიძეები, მარიამ მიქაძე, ლეილა გრძელიძე, ბიძინა სონღულაშვილი, გურამ ახალაია, გია მახარაძე, თემურ კვარაცხელია, ნუგზარ გოგიტიძე, ზაურ საგანელიძე, ნუგზარ ლომაია.**

**იზოლდა და არმაზ სანებლიძეები ოჯახით გულითადად უსამძიმრებენ ლალი გუჯაბიძეს და ნუგზარ ქავთარაძეს დედის და სიდედრის, ღირსეული ქალბატონის**

**შუშანა სურგულაძე-გუჯაბიძის**

**გარდაცვალების გამო.**



**მეუღლე ანნა, შვილი ხათუნა, ძმა ოთარი, ძმისწული გოჩა ოტიაშვილები უდიდესი გულისტკივილითა და მწუხარებით იუწყებიან**

**შოთა ოტიაშვილის**

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22 IV, 16 სთ. სანზონა, კორპუსი 27, I სადარბაზო, გამოსვენება 23 IV, 14 სთ. სანზონის წმინდა ნიკოლოზის ტაძრიდან.**

# უორდროპების ღირსეული მემკვიდრე... „პროსპერო ბუქსში"

**მაღაზია „პროსპერო ბუქსმა" ოთარ ჭილაძის რომანის ინგლისურად თარგმნილ „აველუმის" წარდგინებას უმასპინძლა. თარგმანი 2013 წელს დიდ ბრიტანეთში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით, ქართული წიგნისა და ლიტერატურის პროგრამის ფარგლებში გამოიცა. რომანის ინგლისური თარგმანი ცნობილ ბრიტანელ მთარგმნელს დონალდ რეიფილდს ეკუთვნის, რომელიც დაესწრო წიგნის წარდგინებას. „აველუმის" 1000 ეგზემპლარი ბრიტანულმა გამომცემლობა Parnet press-მა დასტამბა.**

ცნობილი ქართველოლოგი დონალდ რეიფილდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ლონდონის უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი ქართულ ლიტერატურაზე მრავალი სტატიის ავტორი და ქართული პოეზიისა და პროზის უბადლო მთარგმნელია ინგლისურ ენაზე. იგი დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის (140 000 სიტყვა-სტატია) მთავარი რედაქტორია. ახლახან გამოიცა პროფესორ დონალდ რეიფილდის წიგნი საქართველოს ისტორიაზე. **„იმპერიათა კიდე: საქართველოს ისტორია",** 512-გვერდიან ნაშრომს უკვე მოჰყვა საკმაოდ ვრცელი გამოხმაურება მსოფლიო მედიაში. მანვე თარგმნა და შარშან ინგლისურად გამოიცა ოთარ ჭილაძის რომანი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა".

იგი არის წიგნების ავტორი რუსული და ქართული ლიტერატურის შესახებ. დონალდ რეიფილდი ასევე არის რუსი მწერლებისა და ინტელიგენციის შესახებ გამოცემული წიგნების სერიების რედაქტორი. უკვე სამ ათეულ წელზე მეტია საქართველოს ისტორიას და კულტურას სწავლობს და ამ ცოდნას ბრიტანულ უნივერსიტეტებში გადასცემს. იგი პარალელურად აქვეყნებს წიგნებს საქართველოს, ქართულ ლიტერატურის ისტორიაზე, სტალინზე, ამასთან თარგმნის ქართველ პოეტთა და მწერალთა ნაწარმოებებს.



ილიას უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორმა, არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარმა მეცნიერ-თანამშრომელმა **შუქია აფრიდონიძემ** გვითხრა, რომ დონალდ რეიფილდი კარგად იცნობს ოთარ ჭილაძის მთელ შემოქმედებას და მის ექვსივე რომანს, თუმცა „აველუმით" მისი დაინტერესება განაპირობა რომანში 9 მარტისა და 9 აპრილის მოვლენების ასახვამ: **„თვითონ იმთავითვე რუსისტი იყო. შემდეგ გაიგო, რომ რუსი პოეტი-სიმბოლისტები ქართველ სიმბოლისტებს წერილებს სწერდნენ, აქ ჩამოდიოდნენ, მით უფრო – მისი საყვარელი პოეტი**



**მანდელშტამი. მან აღმოაჩინა, რომ კავკასიაში მოგზაურობის დროს მანდელშტამის პოეზიის ბგერწერამ ახლებური ინტონაცია შეიძინა, და გადაწყვიტა ქართულის შესწავლა. ბუნების დიდი მოყვარულია და ამის გამო ადრეულ წლებში მან დაწერა პრჟევალსკის მოგზაურობა აზიაში... ძალიან უყვარს ჩეხოვი და მისი დიდი სპეციალისტია, 700-გვერდიანი წიგნი „ანტონ ჩეხოვის ცხოვრება" სხვადასხვა ენაზე ითარგმნა, ექვს გამოცემას გაუძლო რუსეთში და ოთხჯერ ინგლისურად გამოიცა",** – გვითხრა შუქია აფრიდონიძემ.

ბატონმა დონალდ რეიფილდმა წარდგინებაზე აღიშნა, რომ დაინტერესებულია მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძით", „ჯაყოს ხიზნებით", „არსენა მარაბდელით". ასევე იგი ესაუბრა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს გურამ ოდიშარიას მის მიერ ადრე თარგმნილი ვაჟა-ფშაველას სამი პოემის გამო. ბრიტანელ მთარგმნელს სურს, რომ ხელმეორედ გამოიცეს ვაჟა-ფშაველას პოემები.

**თამარ შაიშმელაშვილი**
**ავტორის ფოტო.**

◎ ინფორმაცია

## სომხეთიდან არადეკლარირებული ოქრო შემოჰქონდათ

**საქართველოს შემოსავლების სამსახურმა არადეკლარირებული ოქროს შემოტანისთვის სომხეთის მოქალაქე 5099,4 ლარით დააჯარიმა.**

როგორც შემოსავლების სამსახურიდან იტყობინებიან, სომხეთის მოქალაქე მ. ო. საქართველოში სადახლოს საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით შემოვიდა.

მგზავრს საბაჟო პროცედურებით გათვალისწინებული დათვალიერებისას, ბარგში არადეკლარირებული საქონელი, კერძოდ ოქროს სამკაულები – 5 სამეული, 1 ყელსაბამი, 3 სამაჯური, 1 წყვილი საყურე და თვლებით გაწყობილი 8 ბეჭედი აღმოაჩნდა. საქონელს ჩაუტარდა ექსპერტიზა.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ჩვენი კარაბადინი

# ვსვამთ და ვჯანმრთელდებით

## დამუხტულ წყალს განკურნება შეუძლია

**თურმე, წყალი თავის თავში ინახავს უამრავ საიდუმლოსა და გამოცანას, რომლებიც კაცობრიობამ ჯერ კიდევ უნდა ამოიცნოს.**

### უბრალოდ, წყალი დაუმატე

არ არის საიდუმლო, რომ ჩვენ ორი მესამედით წყლისგან შევდგებით. ის არა მხოლოდ წყურვილს გვიკლავს, არამედ პრინციპის – „მსგავს რამეს ვმკურნალობთ მსგავსივე რამით“ – შესაბამისად, შეიძლება გამოგვადგეს, როგორც წყალი. წყლის უნარის შესახებ – დააფიქსიროს ინფორმაცია – უკვე რამდენიმე წელია საუბრობენ მეცნიერები სხვადასხვა ქვეყნიდან. მაგრამ სწორედ იაპონიაში, დღეგრძელთა ქვეყანაში, მოაწყვეს გასაოცარი ექსპერიმენტები, რომლებიც მოწმობენ იმის შესახებ, რომ წყლის თვისებები მართლაც იცვლება ამა თუ იმ ინფორმაციის ზემოქმედებით.

რასაკვირველია, შეიძლება ამ ექსპერიმენტებს სკეპტიკურად შეხედო. მიუხედავად ამისა, ისინი ძალიან საინტერესოა. და იმის გათვალისწინებით, რომ არაჩვეულებრივ აღმოჩენათა უმრავლესობა თავდაპირველად იწვევს სკეპსისისა და უნდობლობის ტალღას, ალბათ, ღირს მაინც, თუნდაც ზოგადად, გავეცნოთ ამ აღმოჩენებს, ხოლო გამოვიყენებთ თუ არა მათ, როგორც საშუალებას, – თითოეულის პირადი საქმეა.



მაშ ასე, იაპონელი მეცნიერის მასარუ ემოტოს კვალდაკვალ შეიძლება მოვაწყოთ ასეთი ექსპერიმენტი. ორ ერთნაირ ბოთლში ჩავასხათ ჩვეულებრივი წყალი ონკანიდან. თითოეულ ბოთლს მივაკრათ ქაღალდი. პირველ ბოთლს სიტყვებით „სიყვარული და მადლიერება“, მეორეს – „დარდი და ავადმყოფობა“. მასარუ ემოტო ცდის დროს ამ სიტყვებს იაპონურად წერდა. ჩვენ კი შეგვიძლია დავწეროთ ქართულად ან ნებისმიერ სხვა ენაზე. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს სწორედ ინფორმაციას, რომელიც ჩადებულია ამა თუ იმ სიტყვაში, და არა მის გრაფიკულ მოხაზულობას. ორი-სამი დღის განმავლობაში ბოთლებს ხელი არ უნდა ვახლოთ. მხოლოდ თითოეულ მათგანზე დახრის დროს გავიმეოროთ ქაღალდზე დაწერილი სიტყვები. ხომ სასაცილოდ გვეჩვენება? მაგრამ სულაც არაა ასეთ სურათზე სასაცილო: მოყვარული მეყვავილე ესაუბრება თავის მცენარეებს ან პროფესიონალი მეცხოველე თანამედროვე ბოსელში რთავს მოცარტის მეორმოცე სიმფონიას...

დაბოლოს, დადგა დრო გავყინოთ ორივე ბოთლი, რომ შემდეგ მიკროსკოპის ქვეშ, თვალყური ვადევნოთ კრისტალების წარმოქმნის პროცესს. მიკროსკოპი საკმაოდ ძლიერი უნდა იყოს, ამიტომ ბევრი ჩვენგანი უნდა ენდოს იაპონელ მეცნიერთა ლაბორატორიულ გამოკვლევებს. ფოტოგრაფიებს ისინი აკეთებენ სპეციალური ხელსაწყოს დახმარებით, რომელიც შედგება სამაცივრო კამერისგან, მიკროსკოპისა და ფოტოაპარატისგან. წყლის კრისტალებს უმზერენ ცელსიუსით 5 გრადუსის ტემპერატურის და 200-500-ჯერ გადიდების დროს. ორი-სამი წუთი სჭირდება გამჟღავნების, კრისტალების ზრდისა და საბოლოო ფორმირების პროცესს. მაგრამ ამ შედეგს შეუძლია წარმოდგენის გაოგნება.

### იმარჯვებს სიკეთე

**წყალი, რომელიც დამუხტულია სიტყვებით „სიყვარული და მადლიერება“, ქმნის ფორმით აბსოლუტურად სწორ და თავისი სილამაზით გასაოცარ კრისტალებს. აი, „ცუდი“ ბოთლის წყალში კრისტალები ბოლომდე საერთოდ არ ჩამოყალიბებულან. მიკროსკოპის ქვეშ შეიძლება შევნიშნოთ მხოლოდ რაღაც უცნაური ირიბგვერდიანი სიმახინჯეები.**

რასაკვირველია, ამ ექსპერიმენტს, ისევე როგორც ბევრ სხვას, მასარუ ემოტო და მისი თანამოაზრეები აწყობდნენ არაერთგზის. იცვლებოდა პირობები. ცდებში, გარდა წყალგაყვანილობისა, მონაწილეობდა სულ სხვადასხვანაირი წყალი, მათ შორის დაბინძურებული მდინარეებიდან და ტბებიდან. ეს ჭუჭყიანი წყალი ქმნიდა მონსტრ კრისტალებს. მაგრამ იგივე წყალი, რომელიც დამუხტული იყო სიკეთის სიტყვებით, გასაოცრად გამოირჩეოდა კრისტალების წარმოქმნის მომენტში. ეფექტი კიდევ უფრო ძლიერდებოდა, როდესაც კეთილ სიტყვებს წარმოთქვამდა არა ერთი ადამიანი, არამედ თანამოაზრეთა მთელი ჯგუფი.

### გაუმარჯოს ვიბრაციებს!

**იაპონელები ნამდვილი რეკორდსმენები არიან დღეგრძელთა შორის. და აქ წყალი უკანასკნელ როლს როდი ასრულებს. წყალს ეპყრობიან პატივისცემით, უყვართ იგი, აღტაცებაში მოდიან მისით.** იგივე ტრადიციული ჩაის ცერემონია – წყლის სადიდებელ ნამდვილ ჰიმნად მოგეჩვენებათ! ასე რომ, შემთხვევითი როდია, რომ სწორედ იაპონიაში დაიწყეს მისი განსაკუთრებული თვისებების შესწავლა. ცდები გვიჩვენებენ, რომ წყლისთვის, რომელიც დამუხტულია დადებითი ენერგიით, დამახასიათებელია განსაკუთრებული ვიბრაციები. სხვათა შორის, ვიბრაციები მოდის კვების პროდუქტებიდანაც. წყლისა და ჩვენი ყოველდღიური საკვების ვიბრაციები ახდენენ ადამიანის უჯრედებისა და ორგანოების ვიბრაციასთან რეზონირებას. იმისთვის, რომ ხელი შევუწყოთ სხეულის სხვადასხვა ორგანოებს ხელსაყრელი ვიბრაციებით, საჭიროა, შესაბამისად,ნაირფეროვანი კვება. მაგალითად, სტრესის მოსახსნელად, დეპრესიასთან ბრძოლისთვის, იმუნიტეტის განმტკიცებისთვის გამოდგება ისეთი ხილი, როგორებიცაა მანდარინი, ვაშლი, ყურძენი, ლეღვი, კივი. აგრეთვე ბოსტნეული (კომბოსტო, სტაფილო, ნიორი, პირშუშხა), მწვანილი (ხახვი და ოხრახუში), ნიგოზი, თხილი, გოგრისა და მზესუმზირის თესლი.

წყლისა და პროდუქტების სასარგებლო ვიბრაციაზე უარყოფითად მოქმედებს მიკროტალღოვანი ღუმელი. ძლიერი ელექტრომაგნიტური ტალღები არღვევენ ხელსაყრელ ვიბრაციებს, ასე რომ არ ღირს მიკროტალღოვანი ღუმელების მუდმივად გამოყენება.

ზოგიერთი თანამედროვე გამოკვლევის თანახმად, ადამიანები სკეპტიკური გონებით უფრო ხშირად არიან ავად, და მათი გამოჯანმრთელების პროცესი გრძელდება უფრო დიდხანს, ვიდრე ოპტიმისტებისა და გულახდილებისა. დაე, თქვენი ჭიქა წყალი ყოველთვის იყოს, როგორც მინიმუმი, „სანახევროდ სავსე“, მის შემავსებელ წყალს კი მოჰქონდეს თქვენთვის სიხარული და ჯანმრთელობა!

### სამახსოვროდ

**აი მასარუ ემოტოს ზოგიერთი რჩევა:**

**. გაატარეთ წყალი ფილტრში, ის მადლობას გადაგიხდით ზრუნვისთვის;**

**. თუ გადაწყვეტთ დაელაპარაკოთ წყალს იმის იმედით, რომ იგი დაგეხმარებათ განიკურნოთ სხვადასხვა სენისგან, ეცადეთ ესაუბროთ თქვენს ავადმყოფობასა და უქეიფობაზე წარსულ დროში, მაგალითად: „ჩემი დეპრესია წარსულს ჩაბარდა“, „გრიპის ეპიდემია არც შემხებია“, „ჩემი გული გამოჯანმრთელდა“.**

**. გჯეროდეთ ის, რომ ლაპარაკობთ და თქვენი გამოჯანმრთელების რეალური შანსები მრავალგზის გაიზრდება.**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ჟურნალები გაზეთებიდან



### „ბიძინა ივანიშვილმა გააჩერა დიდი პროცესი“

– ასე მიაჩნია მოძრაობა „თეთრებისა“ და „სახალხო კრების“ ერთ-ერთ ლიდერს თემურ შაშიაშვილს, – ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს ყველაფერი გაცნობიერებული. მე თვითონ შევხვდი თავის დროზე ევრაზიის ფონდის დირექტორს. იქ პირდაპირ მითხრეს, დაანებეთ თავი ტრადიციებს, ისტორიას, თანხები წამოვა, მილიონები, მილიარდები, ოღონდ 30 პროცენტი უკან უნდა დაბრუნდეს... ამათი პროგრამა მინიმუმი დღეს არის: არ უნდა შესრულდეს ბიძინა ივანიშვილის დაპირებების არც ერთი პროცენტი... უფრო სწორად, თუ რამე შესრულდება, უნდა იძახონ, რომ ეს ბლეფია.

**„ალია“**

### „აფხაზები უკვე ხვდებიან, ვინაა მათი მტერი, ქართველი თუ რუსი“

ოკუპანტებმა გალის რაიონის ქვედა ზონის ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთა კიდევ უფრო გაამკაცრეს. ადგილობრივების თქმით, რუსებმა შემოვლით გზაზე სათვალთვალო კამერები დააყენეს და თუ ვინმე გალში ჩუმად გადმოვა ან გადავა, მას კამერის ჩანაწერით პოულობენ და შემდგომ უკვე ჯარიმას ახდევინებენ. „ვის ვთხოვო დახმარება? – ამბობს ერთ-ერთი გალელი, – აფხაზებს? აფხაზებს თავად ეშინიათ რუსების და ჩვენ როგორ დაგვეხმარებიან. რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთმა აფხაზმა მითხრა: „ყველაზე ცუდი მეგრელი ყველაზე კარგ რუსს მირჩევნიაო... ახლა წარმოიდგინეთ, რა დღეში არიან თავად აფხაზები რუსების ხელში“.

**„რეზონანსი“**

### ნათია მოგელაძე საქართველოდან მიდის

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესისთვის“ „ნაციონალური მოძრაობის“ იმ წევრთა დამატებითი სიის შესახებ გახდა ცნობილი, ვინც 19 აპრილის შემდეგ, საქართველოდან წასასვლელი ბილეთები უკვე დაჯავშნა. მათ შორისაა საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი ხელმძღვანელი თამარ კინწურაშვილი, ყოფილი პარლამენტარი ნიკოლოზ ნაყოფია და პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყოფილი უფროსი ნათია მოგელაძე. მათ ბილეთები თბილისი-მიუნხენის რეისზე დაჯავშნეს.

**„ახალი თაობა“**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

**დღეს** კეთილი საქმე გავაკეთე. დილით ჩემს პიტბულს ვასეირნებდი, როდესაც დავინახე, როგორ თავგამოდებით ცდილობდა ვიღაც მამაკაცი, დაწეოდა დასაძრავად გამზადებულ ავტობუსს, მაგრამ არაქათი არ ყოფნიდა. ჰოდა, მეც ავუშვი ჩემი ძაღლი. მიასწრო იმ კაცმა ავტობუსს...

* * *

**ჩვენთან** სინდისის თავისუფლებაა: თუ გსურს, გქონდეს სინდისი, თუ არ გსურს – არა.

* * *

**მომდევნო** თაობები მხოლოდ კომპიუტერული ვირუსებისგან შესძლებენ ქვეყნის დაცვას.



* * *

**მშიერი** კატა ყველაზე კარგი მაღვიძარაა.

**ქმარს** ვურეკავ. ხუთჯერ გავუშვი ზარი, მაგრამ ყურმილს არ იღებს. აჰ, ასე, არა? მაცალე! და ვუგზავნი მესიჯს: „საყვარელო მაპატიე, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ შენი მანქანა გავაფუჭე“. და ნახეთ ტელეფონის წკარუნი – ათ წუთში 35 გამოტოვებული ზარი.

* * *

**სამსახურიდან** არ გამათავისუფლონ-მეთქი და, ნახევარი საათით ადრე მივედი სამუშაოზე. ნახევარი საათით ადრე გამათავისუფლეს.

* * *

**ძალიან** მოფამფალებული მოხუცი ქალი გზაჯვარედინთან დგას. თავი უქანქარებს, ხელები უცახცახებს, მუხლები უკანკალებს, ხმა ებზარება:

– შვილო, ვერ დამეხმარები ქუჩის მეორე მხარეზე გადასვლაში?

– როგორ არა, ბებო, დაგეხმარები, როგორც კი მწვანე შუქი აინთება...

– მწვანე შუქი? მწვანეზე, საყვარელო, მეც გადავალ!

ავტორთა საყურადღებოდ! რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორ ში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com